

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საერთაშორისო რეცენზირებადი მულტილინგვური

სამეცნიერო ჟურნალი

„Scripta manent“

საქართველო

№ 2 (42)

2019

ჟურნალი დაფუძნებულია
ღია დიპლომატიის ასოციაციის მიერ



GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY
ГРУЗИНСКИЙ ТЕХНИЧЕСКИЙ УНИВЕРСИТЕТ

Multilingual Reviewing International Scientific Magazine
Международный рецензионный мультилингвальный научный журнал

„Scripta manent“

GEORGIA

ГРУЗИЯ

№ 2 (42)

2019

OPEN DIPLOMATIC ASSOCIATION

АССОЦИАЦИЯ ОТКРЫТОЙ ДИПЛОМАТИИ

ISSN 1987-7390
UDK (უაკ) 81+82
S-41

სარედაქციო კოლეგია:

მაია ჩხეიძე

მთავარი რედაქტორი

რუსუდან თაბუკაშვილი

მთავარი რედაქტორის მოადგილე

ია ჩიქვინიძე

პასუხისმგებელი მდივანი

რედაქციის წევრები:

ვიტა ფურცელაძე, ჰანს რუდოლფ ფლუპი, კულაშუ ხეიბიტოვა, სილვია ბოტეა,
ტანია ბრისჰამერი, ქეთევან გაბუნია, მარია მიხაილოვა, ტატიანა მებრელიშვილი,
ალბა ბრანციანო, ალესანდრა სპაღაფორა, გიორგი ყუფარაძე,
რუსუდან ბოცინიძე.

მისამართი:

საქართველო, თბილისი, 0175, კოსტავას ქ. №77, კორპუსი VI, სართული VIII
E-mail. : r. tabukashvili@gmail. com

ტექნიკური უზრუნველყოფა: კარინა ხარაზიშვილი

E-mail. : k-kharazishvili@mail. ru

scripta.manentmagazine@gmail. com

ჟურნალის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ღია დიბლომატიის ასოციაციის ვებგვერდზე:
[www. odageorgia.ge](http://www.odageorgia.ge)

Editorial Board:

Maia Chkheidze, Viola Purtseladze, Rusudan Tabukashvili, Ia Chikvinidze, Hans Rudiger Fluck,
Kulpash Beibitova, Tania Grieskhammer, Ketevan Gabunia, Maria Mikhailova,
Silvia Boteva, Tatiana Megrelishvili, Alba Graziano, Alessandra Spadafora, Georgi Kuparadze, Rusudan Gotsiridze.

Adress: 77 Kostava str., 0175, Tbilisi, Georgia
E-mail: r. tabukashvili@gmail. com

Electronic version: [www. odageorgia. ge](http://www.odageorgia.ge)

Редакционная коллегия:

Майя Чхеидзе, Виола Пурцеладзе, Русудан Табукашвили, Ия Чиквинидзе, Ганс Рудигер Флук,
Кульпаш Бейбитова, Таня Грисхаммер, Кетеван Габуня, Мария Михайлова,
Сильвия Ботева, Татьяна Мегрелишвили, Альба Грациано, Алессандра Спадафора, Георгий Купарадзе,
Русудан Гоциридзе.

Адрес: Ул. Костава № 77, 0175, Тбилиси, Грузия
E-mail: r. tabukashvili@gmail. com

Электронная версия: [www. odageorgia. ge](http://www.odageorgia.ge)

რედაქციისაბან

„Scripta manent“ საერთაშორისო რეცენზირებადი მულტილინგუური სამეცნიერო ჟურნალია, რომელიც აქვეყნებს ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა როგორც ტრადიციულ, ისე თანამედროვეობაზე დაფუძნებულ თეორიულ თუ პრაქტიკულ ნაშრომებს. ამას გარდა, იგი ადგილს უთმობს რეცენზიებს, თარგმანებსა და სხვადასხვა ტიპის შემოქმედებით ნაშრომს.

პროფესიონალთა ნაშრომების გამოქვეყნების გარდა ჟურნალი მიზნად ისახავს ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა პოპულარიზაციას მომავალ თაობებში. ჟურნალის რედაქლეგია განსაკუთრებული ინტერესითა და ყურადღებით ეკიდება დოქტორანტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა ნაშრომებს.

ჟურნალი რეცენზირებადია, უარყოფითი რეცენზიით ნაშრომი ავტორს არ უბრუნდება. ჟურნალის სამუშაო ენებია: ქართული, რუსული, ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური და იტალიური.

სარედაქციო კოლეგიის წევრები მოღვაწეობენ საქართველოს (თბილისი), გერმანიის (ბოხუმი, ბერლინი), რუსეთის (მოსკოვი), ყაზახეთის (ასტანა), ბულგარეთის (სოფია) და იტალიის (ტუშა) უნივერსიტეტებში.

სარჩევი

ფილოლოგია

ციური ახელქედიანი, ქეთევან გაბუნია

ფრაზეოლოგიური სინონიმის თავისებურებანი
/ფრანგული ენის ზმნურ შესიტყვებათა მასალაზე/..... 10

ზურაბ ბოლქვაძე

უცხოური ენის სწავლებისას მულტიმედის გამოყენების
უპირატესობები და გამოწვევები..... 14

რუსუდან გოცირიძე

შემოქმედებითი საქმიანობა, როგორც თანამედროვე
საგანმანათლებლო პროცესის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა..... 21

რუსუდან გოცირიძე

სმარტ ტექნოლოგიები განათლებაში 25

ირინე გოშხეთელიანი

კულტურათაშორისი კომუნიკაციის სირთულეები..... 29

სოფიო დედალამაზიშვილი

მნემოტექნიკები - ლოკი მეთოდი..... 34

ნიკოლოზ ესაკია

იტალიური ჟარგონი (ჯერგო) როგორც ენობრივ-სოციალური
მოვლენა და მისი თანამედროვე კონცეფციები 38

მარინა ზორანიანი

სქემის ცნება და სქემების ტიპები კოგნიტურ სტილისტიკაში..... 44

დომნა კარანაძე

ინგლისურ ენაში მოდალური ზმნის თავისებურებათა გააზრება
მედიაწიგნიერების კონტექსტში..... 49

ენდი ხუციშვილი

გლობალიზაციის არსი და მისი გავლენა ენაზე..... 54

მაია კიკვაძე

„ვეფხისტყაოსანი“ და ქართული ტრადიციები..... 62

ნატალია სურგულაძე

სატოვან გამონათქვამთა ფუნქციონალური შესაძლებლობები
პოლიტიკურ დისკურსში (ფრანგული და ქართული ენების კორპუსის ბაზაზე)..... 69

Contents

Philology

Tsiuri Akhvlediani, Ketevan Gabunia

The peculiarities of phraseological synonymy /On the material of French verb collocations/ 10

Zurab Bolkvadze

Advantages and Challenges of Multimedia Application for Foreign Language Teaching 14

Rusudan Gotsiridze

Creative Activity as One of the Main Tasks of Modern Educational Process 21

Rusudan Gotsiridze

Smart Technologies in Education 25

Irine Goshkheteliani

Difficulties of Intercultural Communication..... 29

Sopio Dedalamazishvili

Mnemo Technique – Loci Method 34

Nikoloz Esakia

Italian Slang as a Sociolinguistic Phenomenon and Its Contemporary Conceptions 38

Marina Zoranyan

The Concept of Schema and Types of Schemata in Cognitive Stylistics 44

Domna Karanadze

Considering the Peculiarities of Modal Verbs in English Language in the Context of Media Literacy 49

Andy Khutsishvili

The Feature of Globalization and Its Impact on the Language..... 54

Maia Kikvadze

„The Knight in the Panther’s Skin» and Georgian Traditions 62

Natalia Surguladze

Functional Abilities of Figurative Expressions in Political Discourse (on the material of French and Georgian Corpus)..... 69

Содержание

Филология

Циури Ахвледиани, Кетеван Габуня

Особенности фразеологической синонимии
/на материале глагольных словосочетаний французского языка/10

Зураб Болквадзе

Преимущества и вызовы применения мультимедии для обучения иностранному языку14

Русудан Гоциридзе

Творческая деятельность как одна из основных задач современного
образовательного процесса21

Русудан Гоциридзе

Смарт-технологии в образовании25

Ирине Гошхетелиани

Трудности межкультурной коммуникации29

Софио Дедаламазишвили

Мнемотехнологии – метод локи34

Николай Эсакия

Итальянский жаргон как социолингвистический феномен и его современные концепции.....38

Марина Зоранян

Понятие схемы и типы схем в когнитивной стилистике44

Домна Каранадзе

Осмысление особенностей модальных глаголов английского языка в
контексте медиа грамотность.....49

Энди Хуцишвили

Суть глобализации и ее влияние на язык.....64

Майя Киквадзе

„Витязь в тигровой шкуре“ и грузинские традиции.....62

Наталья Сургуладзе

Функциональные возможности образных средств выражения
в политическом дискурсе (на базе корпуса французского и грузинского языков)69

ფილოლოგია

Philology

Филология

ფრაზეოლოგიური სინონიმის თავისებურებანი /ფრანგული ენის ზმნურ შესიტყვებათა მასალაზე/

ციური ახვლედიანი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,
საქართველო
ტელ. 599 508 607
E-mail: tsiuriakhvlediani@yahoo.com

ქეთევან გაბუნია

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,
საქართველო
ტელ.: 599 201 099
E-mail: keti_gabunia@yahoo.com

რეზიუმე

ნაშრომი ეხება ფრანგული ენის ფრაზეოლოგიური სინონიმის თავისებურებათა შესწავლას მყარი ზმნური შესიტყვებების ბაზაზე. კვლევის მასალას წარმოადგენს თანამედროვე ფრანგული ენის ფრაზეოლოგიური სინონიმები, რომლებიც მოვიძიეთ თანამედროვე ლექსიკოგრაფიულ წყაროებში. მნიშვნელობის მიხედვით ახლომდგომი ზმნური შესიტყვებები წარმოადგენენ ისეთ გამონათქვამებს, რომლებიც განსხვავებულნი არიან სტრუქტურის მიხედვით (ზმნა ან ზმნური შესიტყვება), ექსპრესიულობით (ნეიტრალური ან ემოციურად შეფერილი), ენის სხვადასხვა სტილისადმი კუთვნილებით (ნეიტრალური, სასაუბრო, არგო). ფრაზეოლოგიური სინონიმია წარმოდგენილია, ძირითადად, არა სრული სინონიმებით, არამედ ისეთი გამონათქვამებით, რომელთა მნიშვნელობები ემთხვევა მხოლოდ ნაწილობრივ.

საკვანძო სიტყვები:

ზმნური შესიტყვებები, ფრაზეოლოგიური სინონიმია, ნეიტრალური, ემოციურად შეფერილი.

შესავალი

ფრაზეოლოგიური სფეროს კვლევა განპირობებულია იმით, რომ ფრაზეოლოგია, ნათლად და ხატოვანად ასახავს რა ხალხის კულტურას, გვეხმარება ხალხის მენტალიტეტის უკეთ გაგებაში. ასეთ კვლევებში, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მყარ ზმნურ შესიტყვებებს, რადგან ისინი წარმოადგენენ ერთ-ერთ ისეთ ყველაზე მეტად გამომხატველ და გამოყენებად ერთეულებს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ფრანგულ ენაში.

ძირითადი ნაწილი

მიუხედავად იმისა, რომ ფრაზეოლოგია მუდამ იყო აქტიური შესწავლის ობიექტი (Bally – 1963; Gross – 1996; Lamiroy – 2010; Rat – 1969; Rey – 1979 და მრავალი სხვა), მაინც საკმაოდ რთულია ფრაზეოლოგიის უნიფიცირებული დეფინიციის ჩამოყალიბება. მ. გონსაღეს-რეის კვალდაკვალ, ფრაზეოლოგიას მივიჩნევთ მეცნიერებად მყარი გამონათქვამების შესახებ, მყარ გამონათქვამებს კი აქვთ დამოუკიდებელი მნიშვნელობა და ახასიათებენ განსაზღვრულ ენას. ვატარებთ რა კვლევას ზმნური შესიტყვებების მასალაზე, ვიყენებთ ფრაზეოლოგიზმთა კლასიფიკაციას, რომელიც ხორციელდება სხვადასხვა კრიტერიუმთა გათვალისწინებით: სემანტიკური გადაბმულობის (შერწყმულობის), შემადგენლობის, სტრუქტურისა და ა.შ. ავირჩიეთ ისეთ ფრაზეოლოგიურ შეერ-

თებათა კლასიფიკაცია, რომლებიც აგებულია მათი სტრუქტურის საფუძველზე, რის შესაბამისადაც ფრაზეოლოგიზმები შეიძლება დაეყოს ორ დიდ ჯგუფად: ისეთები, რომლებიც შეესაბამებიან წინადადებას და ისეთები, რომლებიც შეესაბამებიან სიტყვაშეერთებებს. სიტყვაშეერთებები შეიძლება წარმოდგენილი იქნენ ისეთი შესიტყვებით, როგორებიცაა «ზედსართავი სახელი + არსებითი სახელი», «ზმნა + არსებითი სახელი», «ზმნა + ზმნიზედა». სტრუქტურული კრიტერიუმის შესაბამისად, ჩვენს მიერ შესასწავლ ზმნურ შესიტყვებებს მივაკუთვნებთ მეორე ჯგუფს.

აუცილებელია გვახსოვდეს, რომ მყარი ზმნური შესიტყვების მნიშვნელობა არ განისაზღვრება მათში შემავალ ერთეულთა მნიშვნელობების ჯამით. ამ დებულების მაგალითად წარმოვიდგინოთ მყარ გამონათქვამს «**donner le feu vert à qn**». სიტყვასიტყვითი თარგმანით ეს ნიშნავს – «მივცეთ ვინმეს მწვანე ცეცხლი», მაგრამ ეს ფრაზეოლოგიზმი ნიშნავს «მივცეთ ვინმეს უფლება (ნება დავართოთ) რაიმეს კეთებისა»; ქართულ ენაშიც გვაქვს მსგავსი გამონათქვამი «მწვანე შუქი ავუნთოთ». ასევე, ქართულ ენაში გვაქვს ფრანგულიდან ნასესხები ფრაზეოლოგიზმი «კარტ-ბლანშის მიცემა», რომელიც ნიშნავს «ვინმესათვის მოქმედების სრული თავისუფლების მიცემას»; სიტყვასიტყვით კი, ეს ფრანგული გამონათქვამი «**donner carte blanche**» ნიშნავს «მისცე ვინმეს თეთრი ბარათი».

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მყარ შესიტყვებათა წარმოქმნა ენაში. ცნობილია, რომ მრავალი ფრაზეოლოგიზმი შორეულ წარსულშიც გამოიყენებოდა და ამჟამად ასეთ გამონათქვამთა ეტიმოლოგია დაკარგულია; თუმცა, რიგ შემთხვევებში, შესაძლებელია დავადგინოთ მათი წარმოშობა; მაგალითად, როცა ფრაზეოლოგიზმებად ქცეულია ცნობილ ადამიანთა ციტატები: გამონათქვამი «**laver son linge sale en famille**» იქცა ფრთოსან (მოსწრებულ) სიტყვად იმის

შემდეგ, რაც ონორე დე ბალზაკმა გამოიყენა იგი თავის ერთ-ერთ ნაწარმოებში ნაპოლეონ პირველის შესახებ, რომელიც, ჩართული იყო რა მრავალ დავაში საკუთარ ძმებთან და დებთან, მიიხნეოდა, რომ ოჯახური კონფლიქტები არ ქცეულიყო საყოველთაო განსჯის თემად. ქართულ ენაში ამ გამონათქვამის ეკვივალენტია « არ ღირს ჭუჭყის გატანა საკუთარი სახლიდან ».

ზოგ ფრაზეოლოგიზმს წარმოქმნის საკმაოდ საინტერესო ისტორია აქვს. მაგალითად, გამონათქვამში «**voir midi à sa porte**» - “რაიმეზე საკუთარი შეხედულების ქონა”, ვხვდებით ისეთ სიტყვებს, როგორებიცაა **midi** – «შუადღე» და **porte** – «კარი», რაც არანაირად არ ასახავს ამ შესიტყვების აზრს. ეს მყარი გამონათქვამი პირდაპირ უკავშირდება ძველ ჩვეულებებს. თანამედროვე სამყაროში, ყველას აქვს მობილური ტელეფონი ან მაჯის საათი, რითაც მუდამ შეგვიძლია გავიგოთ, თუ რომელი საათია (დრო). ჩვენს წინაპრებს არ ჰქონდათ სახლში საათის ქონის შესაძლებლობა და ამიტომაც, იმ შორეულ ეპოქაში, როგორც წესი, იყენებდნენ მზის საათებს; ისინი მათ აყენებდნენ შემოსასვლელი კარის გვერდზე და საათის გასაგებად იყურებოდნენ კარიდან. რადგან ასეთი საათები ყოველ კართან იდგა, თითოეული მეზობელი ხედავდა შუადღის დადგომას (ანუ «შუადღე კართან») არა ერთსა და იმავე წუთს, არამედ სხვადასხვა დროს. აი, ასეთი ხატი უდევს საფუძვლად ფრაზეოლოგიზმს «**voir midi à sa porte**».

რადგან ჩვენი კვლევის საგანია ფრაზეოლოგიური სინონიმია, უნდა გავისხენოთ, რომ სინონიმია არის ენობრივ გამონათქვამთა მნიშვნელობების სრული ან ნაწილობრივი დამთხვევა.

აღმოჩნდა, რომ ზმნურ მყარ გამონათქვამებში იშვიათად გვხვდება სრული სინონიმები. მაგალითად, გამონათქვამს «იღბალის ქონა, წარმატებულად ყოფნა» მრავალი შესატყვისი თარგმანი აქვს ფრანგულ ენაში: ერთი ზმნით გამოხატული – **réussir**, ასევე

შემდეგი გამონათქვამების გამოყენებით: **être chanceux, avoir de la chance, avoir de la veine, avoir du pot** და სხვ. აღსანიშნავია, რომ ეს შესიტყვებები ხასიათდებიან შემდეგი თავისებურებებით: ყველა მათგანი იხმარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანს გაუმართლა რაღაც კონკრეტულ სიტუაციაში. გარდა ამისა, ისინი განეკუთვნებიან სხვადასხვა სტილს; მაგალითად, ნეიტრალური გამონათქვამის **avoir de la chance** გვერდით არსებობს ასევე ხალხური გამონათქვამი **avoir de la veine** და ასევე გამონათქვამი **avoir du pot**, რომელიც არგოს მიეკუთვნება. თუ ვლავრაკობთ ისეთ ადამიანზე, რომელიც შესაშური მუდმივი იღბლიანობით გამოირჩევა, მაშინ უკვე გამოვიყენებთ სხვა ფრაზეოლოგიურ სინონიმს: **être né coiffé** (სიტყვასიტყვით: «დავარცხნილი დაიბადა»).

განვიხილოთ კიდევ ერთი მაგალითი: გამონათქვამი «შიშის ქონა, შიშის განცდა» ფრანგულად ითარგმნება ზმნით **craindre** და ასევე შესიტყვებით **éprouver de la peur**.

სინონიმურად შეიძლება ჩაითვალოს ასევე ზმნური გამონათქვამი **avoir peur**. ეს გამონათქვამი ნეიტრალური ხასიათისაა და გამოირჩევა ფართო გამოყენებით. ამ გამონათქვამის უფრო მეტად ექსპრესიულ სინონიმებს შორის შეიძლება დავასახელოთ **avoir le trac**. ეს გამონათქვამი აღნიშნავს «მღელვარება», «კრძალვა», «საჯაროდ სიტყვით გამოსვლისადმი შიში», «გამოცდაზე გასვლის შიში» და ა. შ. მეორე ფრაზეოლოგიური სინონიმია გამონათქვამი **trembler comme une feuille**. თვით ხატი, რომელიც წარმოადგენს ფრაზეოლოგიზმის საფუძველს, გვაუწყებს, რომ ეს სინონიმი ძალიან ექსპრესიულია. ამ შესიტყვების ზუსტი ქართული შესატყვისია: «ფოთოლივით კრთომა, კანკალი». ასევე არსებობს კიდევ ერთი გამონათქვამი ზმნით **trembler: trembler le grelot**, რომელიც ქართულად ითარგმნება გამონათქვამით: «კბილეებით კაწკაწი». მოცემულ შემთხვევაში «კბილეებით კაწკაწი» მიზეზად გულისხმობს ან შიშს, ან სიცხეს.

დასკვნა

ამგვარად, მნიშვნელობის მიხედვით ახლომდგომი ზმნური შესიტყვებები წარმოადგენენ ისეთ გამონათქვამებს, რომლებიც განსხვავებულნი არიან სტრუქტურის მიხედვით (ზმნა ან ზმნური შესიტყვება), ექსპრესიულობით (ნეიტრალური ან ემოციურად შეფერილი), ენის სხვადასხვა სტილისადმი კუთვნილებით (ნეიტრალური, სასაუბრო, არგო).

ეს დაკვირვებანი გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ ფრაზეოლოგიური სინონიმია წარმოდგენილია, ძირითადად, არა სრული სინონიმებით, არამედ ისეთი გამონათქვამებით, რომელთა მნიშვნელობები ერთმანეთს მხოლოდ ნაწილობრივ; ასეთია ფრანგული ენის ფრაზეოლოგიური სინონიმის ერთ-ერთი თავისებურება.

ლიტერატურა

1. Bally Ch. (1963): *Traité de Stylistique française*. Genève-Paris
2. Expressio (ელექტრონული რესურსი). URL: <http://www.expressio.fr/>
3. Gross G. (1996): *Les expressions figées en français: noms composés et autres locutions*. Paris
4. Rat M. (1969): *Dictionnaire des locutions françaises*. Paris,
5. Rey A. (1979): *Dictionnaire des expressions et locutions*. Paris

The peculiarities of phraseological synonymy

/On the material of French verb collocations/

Tsiuri Akhvlediani

Tbilisi State University

Humanitarian science faculty

36, Chavchavadze ave., 0179, Tbilisi, Georgia

Tel.: 599 508 607

E-mail: tsiuriakhvlediani@yahoo.com

Ketevan Gabunia
Tbilisi State University
Humanitarian science faculty
36, Chavchavadze ave., 0179, Tbilisi, Georgia
Tel.: 599 201 099
E-mail: keti_gabunia@yahoo.com

Abstract

The paper studies the peculiarities of French phraseological synonymy on the basis of verb collocations. The material for the research is phraseological synonymy of modern French language found in lexicographical sources. Semantically verb collocations differ in structure (verb or verb collocation), expressiveness (neutral or with emotional coloring), possession to different styles of language (neutral, colloquial, argo). Phraseological synonymy is presented not with perfect synonyms but with the expressions whose meanings concur only partially.

Keywords:

verb collocations, phraseological synonymy, neutral, emotionally colored.

Особенности фразеологической синонимии

/на материале глагольных словосочетаний французского языка/

Ахвледiani Циури Александровна
Тбилисский государственный университет
Факультет гуманитарных наук
Пр. И. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия
Тел.: 599 508 607
E-mail: tsiuriakhvlediani@yahoo.com

Габуня Кетеван Учаевна
Тбилисский государственный университет
Факультет гуманитарных наук
Пр.И. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия
Тел.: 599 201 099
E-mail: keti_gabunia@yahoo.com

Резюме

Обращение к области фразеологии обусловлено тем, что изучение фразеологизмов, ярко и образно отражающих культуру народа, помогает нам, в частности, лучше понять его менталитет. При этом устойчивые глагольные словосочетания занимают особое место, так как являются одними из самых выразительных и употребительных единиц, играющих важную роль во французском языке. Близкие по значению глагольные словосочетания представляют собой выражения, которые являются различными по структуре (глагол или глагольное словосочетание), по экспрессивности (нейтральные или эмоционально окрашенные), по принадлежности к разным стилям языка (нейтральному, разговорному, аргю). Фразеологическая синонимия представлена, главным образом, не в виде полных синонимов, а выражениями, значение которых совпадает лишь частично. В этом заключается одна из особенностей фразеологической синонимии французского языка.

Ключевые слова:

глагольные словосочетания, фразеологическая синонимия, нейтральный, эмоционально окрашенный.

უცხოური ენის სწავლებისას მულტიმედის გამოყენების უპირატესობები და გამოწვევები

ზურაბ ბოლქვაძე
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ენების შემსწავლელი ცენტრი
იჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,
საქართველო
ტელ: 599 141 617
E-mail: zura79@googlemail.com

რეზიუმე

მულტიმედიაში იგულისხმება მრავალფეროვანი გარემო, რომელიც შეიძლება მოიცავდეს ინფორმაციას (ტექსტებს, გრაფიკას, აუდიო და ვიდეო მასალას). ლიტერატურის ანალიზმა და რაოდენობრივმა კვლევამ დაადასტურა, რომ მულტიმედის გამოყენების უპირატესობები სჭარბობს მის გამოწვევებს.

საკვანძო სიტყვები:

მულტიმედია, სწავლების ტექნიკური საშუალებები, ავთენტური მასალა, მოტივაცია, სწავლის ავტონომია.

შესავალი

XXI საუკუნეში სწავლება წარმოუდგენელია თანამედროვე ტექნოლოგიების გარეშე. განსაკუთრებით უცხოური ენის სწავლებას ეხება. თუ წარსულში სწავლების ტექნიკურ საშუალებებზე ლაპარაკობდნენ, დღეს უფრო მისაღებ ტერმინად „მულტიმედია“ ან „ახალი მედია“ ითვლება [შავერდაშივილი 2014: 175]. ახალი მედია ან მულტიმედია ზოგადად მრავალფეროვან გარემოს გულისხმობს, რომელშიც სხვადასხვა სახის ინფორმაცია მოიპოვება. საგანმანათლებლო პროგრამული უზრუნველყოფა მოიცავს ვერბალურ (ტექსტურ), ვიზუალურ (ილუსტრაციულ), აუდიო და ვიდეო მასალას [Linguee 2019].

ძირითადი ნაწილი

ტრადიციული სწავლების ტექნიკური საშუალებებისგან განსხვავებით, მულტიმედია / ახალი მედია:

- ააქტიურებს არაერთ სენსორულ (აუდიალურ, ვიზუალურ) არხს;

- იყენებს სხვადასხვა სახის როგორც ტექნიკურ მოწყობილობებს (სტაციონარული და პორტატიული კომპიუტერი, ციფრული ფოტო- და ვიდეოკამერა, მობილური ტელეფონი და სხვა მობილური საშუალებები, სმარტფონი და აიფონი, პროექტორი), ასევე ინფორმაციის მატარებლებსა (კომპაქტური დისკები, ფლეშკარტები) და კოდირების საშუალებებს (ტექსტური, აუდიალური, ვიზუალური, ანიმაციური კოდირება);

- ერთმანეთთან დაკავშირების შესაძლებლობას აძლევს მრავალ კომუნიკანტს, ნაცნობს და უცნობს, ერთმანეთისგან ათასობით კილომეტრით თუ ორიოდ ნაბიჯით დაშორებულს;

- საშუალებას იძლევა გამოყენებულ იქნას შეუზღუდავი რაოდენობის მასალა მრავალი ბიბლიოთეკიდან, ისევე როგორც სხვა ბეჭდური, აუდიალური თუ აუდიოვიზუალური ინფორმაცია;

- მოიცავს როგორც ავთენტურ არასასწავლო (საინფორმაციო და მხატვრულ), ასევე მზა სასწავლო მასალას – ელექტრონულ სავარჯიშოებს, ტესტებს, სახელმძღვანელოებს, ლექსიკონებს, ცნობარებს, ენციკლოპედიებს – და ასევე ახალი მასალის/აქტივობების შექმნის შესაძლებლობას სათანადო პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით;

- იძლევა ამ ყველაფრის მოქნილად გამოყენების საშუალებას (ნებისმიერ დროსა და ადგილას, სინქრონულად ან ასინქრონულად, ინტენსიურად ან ნაკლებად ინტენსიურად, ინდივიდუალურად, წყვილებში, მცირე ჯგუფებში ან მთელი აუდიტორიის წინაშე);

- იმდენად იოლი ასათვისებელია, რომ პატარა ბავშვებიც კი ახერხებენ მის გამოყენებას, ხშირად უფრო ადრე, ვიდრე ლაპარაკისწავლიან [Issing & Klimsa 1997:65-70].

ახალი ლექსიკის პრეზენტაციისას მულტიმედია გეთავაზობს უამრავ ნახატსა და ვიდეოს (მათ შორის იუმორისტულს), რომელთა დახმარებით შეგვიძლია მშობლიური ენის გამოყენებლად მივაწოდოთ სტუდენტებს სიტყვის (თუნდაც აბსტრაქტული სიტყვის) სემანტიკა [Burwitz-Melzer & Quetz 2002:170-172]. ახალი გრამატიკული მასალის პრეზენტაციისას სტრუქტურული ფორმულების ახსნა და მათი მაგალითებით ილუსტრირება უფრო ადვილად ხდება მასწავლებლის მიერ მომზადებული ან ინტერნეტიდან მოპოვებული მზა სლაიდების გამოყენებით.

ინტერნეტიდან მოპოვებული აუდიო და აუდიო-ვიზუალური მასალები ხასიათდება ავთენტურობით, რაც უადრესად მნიშვნელოვანია უცხოური ენის სწავლებისას, რადგან სტუდენტებს მიეწოდებათ შესასწავლი ენის რეალური, ცხოვრებისეული ნიმუშები. გარდა ამისა, ავთენტური მასალის გამოყენება ზრდის სტუდენტთა მოტივაციას [Mutanen 2015: 86].

ინტერნეტში მოიპოვება ლექსიკა-გრამატიკის შესწავლის, წარმოთქმის დახვეწისა და კითხვა-მოსმენის პროცესში ტექსტის გაგების მრავალნაირი სასწავლო პროგრამული უზრუნველყოფა. მათგან ზოგიერთი მხოლოდ მზა სავარჯიშოებს გეთავაზობს, რომელთაგანაც მასწავლებელს ან სტუდენტს თავისი ამოცანის შესაბამისად შეუძლია შეარჩიოს სავარჯიშოები და ტესტები. სხვა სახის პროგრამული უზრუნველყოფა კი სთავაზობს მასწავლებლებს (და სტუდენტებს - მათი კრეატიულობის გასავითარებლად) დავალებების შედგენას. საუბრისა და წერის უნარების გასავითარებლად ინტერნეტში შემოთავაზებულია მრავალი საიტი (მაგალითად, სკაიპი, მესინჯერი, ელექტრონული ფოსტა), რომელიც პროდუქტი-

ულ უნარ-ჩვევებს ავითარებს [von der Handt, 2002: 9].

თუ გავითვალისწინებთ, რომ მრავალფეროვანი მასალის შემოთავაზების გარდა, მულტიმედია ასევე უზრუნველყოფს კავშირს როგორც სტუდენტსა და სტუდენტს, ასევე სტუდენტსა და მასწავლებელს - მეტიც, თვით სხვადასხვა ადგილას/სხვადასხვა ქვეყანაში მყოფ ადამიანებს - შორის, უცნაურად აღარ მოგვეჩვენება, რომ გარკვეულ სიტუაციებში იგი ანაცვლებს მასწავლებელს. ამასთანავე, ის მუდამ მომთმენ, მშვიდ, თავაზიან „მასწავლებელს“ წარმოადგენს, რომელიც ყოველდღე და დღის ნებისმიერ მონაკვეთში ხელმისაწვდომია სტუდენტისთვის. თუ საკომუნიკაციო პარტნიორი შესასწავლი ენის განათლებული მატარებელია ან თუ გამოყენებული სასწავლო პროგრამული უზრუნველყოფა პროფესიულადაა შედგენილი, მულტიმედია შეიძლება იმ საკითხების გარკვევაშიც დაეხმაროს ენის შემსწავლელს, რომლებშიც მასწავლებელი უძლური აღმოჩნდა. ამის გამო ბევრი მასწავლებელი მულტიმედიას კონკურენტად აღიქვამს (ამ აღქმას დიდად უწყობენ ხელს კომპიუტერული პროგრამების მწარმოებელი კომპანიები) [von der Handt 2002: 20].

მულტიმედიის გამოყენება ასტიმულირებს სტუდენტის სწავლის ავტონომიის (დამოუკიდებლობის) განვითარებას [Burwitz-Melzer & Quetz 2002:179-180], რაც სრულ შესაბამისობაშია უნივერსიტეტის სტუდენტის ასაკობრივ თავისებურებებთან და მის პროფესიულ საჭიროებებთან.

არანაკლებ მნიშვნელოვანია აგრეთვე, რომ იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც სათანადო ტექნიკური უნარები აქვთ (დღეს კი სტუდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა სწორედ ასეთია), სწავლის პროცესი სრულიად თავისუფალია სტრესისა და შფოთვისგან, რაც განსაკუთრებით უცხო ენის შესწავლისას უადრესად მნიშვნელოვანია [Gabriel 2016: 4].

რასაკვირველია, მულტიმედიის გამოყენებას, როგორც ნებისმიერ სიახლეს, თავისი

სირთულეებიც ახასიათებს. პირველ რიგში, ეს არის ტექნიკური აღჭურვილობის მასშტაბი, რომელიც ეკონომიკურ ფაქტორზეა დამოკიდებული. ბ. ბუსე [Busse 2017:12-13] მიუთითებს, რომ ყველა აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელს აქვს გარკვეული ტექნიკური აღჭურვილობა, თუმცა ზოგჯერ საკითხავია, რამდენად არსებობს მისი გამოყენების საშუალება ყველა სასწავლო კურსისთვის და ყველა ჯგუფისთვის. თანაც, ტექნიკის არსებობა უნივერსიტეტში ყოველთვის არ გულისხმობს მის ეფექტურ გამოყენებას.

შემდეგი აუცილებელი პირობა (და ხშირად – დაბრკოლება) არის მასწავლებელთა ტექნიკური უნარ-ჩვევებისა და მულტიმედიის საშუალებით სწავლების პედაგოგიური მიდგომების ცოდნის (ხშირად – დაბალი) დონე [Zhang 2016: 23]. ამას ზოგჯერ ემატება მასწავლებლის რწმენა, რომ ტექნიკური საშუალებები დიდ როლს არ ასრულებს სწავლის წარმატებაში. ასეთ შემთხვევაში მასწავლებელი ყველანაირად შეეწინააღმდეგება ადმინისტრაციის მოთხოვნას მულტიმედიის გამოყენების შესახებ და უკიდურეს შემთხვევაში მას – მულტიმედიას – პრიმიტიულად და არაეფექტურად გამოიყენებს. უმაღლესი სასწავლებლის ადმინისტრაციამ აუცილებლად უნდა უზრუნველყოს იმ მასწავლებელთა და სტუდენტთა მომზადება/გადამზადება, რომლებსაც არ აქვთ საბაზო ტექნიკური უნარ-ჩვევები. რაც შეეხება კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებას, ამის მიღწევა შეიძლება ხანმოკლე (რანდენიმე საათიანი) ტრენინგით. უფრო რთულია მასწავლებელი დავარწმუნოთ ციფრული ტექნიკის გამოყენების ეფექტურობაში. ამის მისაღწევად საჭიროა სისტემატური მუშაობა – სემინარებისა და კონფერენციების მოწოდება, ვიზიტები სხვა სასწავლებლებში ეფექტური პრაქტიკის გასაცნობად.

რელევანტური სასწავლო მასალების შერჩევა კიდევ ერთ გამოწვევას წარმოად-

გენს. ეს არამარტო დრო-ტევადი საქმეა (რაც ხშირად ზრდის მასწავლებელთა წინააღმდეგობას მულტიმედიის გამოყენების მიმართ), არამედ მოითხოვს მაღალ კვალიფიკაციას, რადგან შერჩეული მასალები უნდა იყოს კულტურულად რელევანტური, შინაარსობრივად საინტერესო და შეესაბამებოდეს სტუდენტთა ენობრივი უნარ-ჩვევების დონეს. სტუდენტთა ენობრივი დონიდან ზომიერი გადახრის შემთხვევაში მასწავლებელს მოუწევს მასალის ადაპტირება ან წინასწარი სამუშაოს ჩატარება ახალი ენობრივი მასალის გასაცნობად. სამწუხაროდ, გაკვეთილისთვის მასწავლებლის მომზადების დრო, როგორც წესი, არ არის ფინანსურად კომპენსირებული.

დაბოლოს, მულტიმედიის გამოყენებით გაკვეთილს ან/და საშინაო დავალებას განსხვავებული მენეჯმენტი სჭირდება. მასწავლებელმა ეფექტურად უნდა დაყოს სტუდენტები ჯგუფებად, გაანაწილოს როლები (იდებების გენერატორი, ჩამწერი, კრიტიკოსი და ა.შ.), გადაწყვიტოს აქტივობებში სტუდენტთა ამა თუ იმ ინტენსივობით მონაწილეობის საკითხი, აკონტროლოს მუშაობა და შეაფასოს მიღებული „პროდუქტი“ [Sander 1999: 20-23]. ამ მიზნითაც არის აუცილებელი, რომ ენის მასწავლებლებს ტრენინგები ჩაუტარდეთ. ამგვარად, თუმცა გარკვეული გამოწვევები ახალი მედიის გამოყენებასთან დაკავშირებით არსებობს, მათი დაძლევა სავსებით შესაძლებელია.

მულტიმედიის გამოყენების უპირატესობებისა და გამოწვევების თაობაზე საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებისა და ლექტორების შეხედულებების შესასწავლად ჩავატარეთ გამოკითხვა (ანკეტირება), რომელშიც მონაწილეობა მიიღო ორმა (ერთმა საჯარო და ერთმა კერძო) უნივერსიტეტმა და ასევე გოეთეს ინსტიტუტმა, რომელშიც მრავალი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი ეუფლება გერმანულ ენას. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო გერმანული ენის შემსწავ-

ლელმა 100-მა სტუდენტმა და 30-მა მასწავლებელმა. მართალია, კვლევის მონაწილეთა რაოდენობა შეზღუდულია, მაგრამ მათი აზრი შეიძლება მეტ-ნაკლებად რეპრეზენტატიულად ჩაითვალოს, რადგან ისინი უმაღლესი სასწავლებლების ორივე ტიპს (საჯაროსა და კერძოს) და რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელს წარმოადგენენ.

რესპოდენტებს 5-ქულიანი ლიკერტის

სკალის გამოყენებით უნდა შეეფასებინათ ზემოთ გაანალიზებული უპირატესობები და გამოწვევები (1 ქულა - აზრს სრულიად არ ვიზიარებ, 2 ქულა - თითქმის არ ვიზიარებ, 3- არ მაქვს მკაფიო აზრი ამ საკითხზე, 4 - მეტ-ნაკლებად ვიზიარებ, 5 - მთლიანად ვიზიარებ). მიღებული საშუალო შედეგები ქვემოთ მოყვანილ ცხრილშია წარმოდგენილი.

ცხრილი 1. სტუდენტთა შეხედულებების შეჯამება

უპირატესობები	საშუალო შეფასება
მიმზიდველია ახალგაზრდებისთვის და ზრდის მათი სწავლის მოტივაციას	4,7
მიმართავს აუდიო და ვიდეო არხებს	4,7
მეტი ემოციური ზეგავლენა აქვს სტუდენტზე, ვიდრე ქაღალდზე დაბეჭდილ მასალას	4,4
ავითარებს სწავლის დამოუკიდებლობას, ხელს უწყობს მომავალში უწყვეტი სწავლის განხორციელებას	4,4
იძლევა ინდივიდუალური მიდგომის (სწავლის ტემპი, გამეორებების რაოდენობა, მასალის შერჩევა) შესაძლებლობას	4,4
იძლევა ენისა და კულტურის ერთობლიობის ჩვენების შესაძლებლობას	4,4
იძლევა ავთენტური (რეალური, ცხოვრებისეული) ენობრივი მასალების გამოყენების საშუალებას	4,4
იძლევა ენის მატარებლებთან კომუნიკაციის შესაძლებლობას	4,5
ქმნის სტრესისგან თავისუფალ გარემოს	4,3
სხვა (დაასახელეთ): სასარგებლო იქნება მომავალ პროფესიულ აქტივობებში (1), საუკეთესოა ლექსიკის გამდიდრებისთვის	
გამოწვევები:	
უნივერსიტეტის ტექნიკური აღჭურვილობა, ხარისხიანი ინტერნეტის უზრუნველყოფა	3,5
მასწავლებლის ტექნიკური უნარ-ჩვევების ხარვეზები	2,5
მასწავლებლის მიერ მულტიმედიის ეფექტურად გამოყენების პედაგოგიური / მენეჯერული უნარ-ჩვევების ხარვეზები	2,2
მასწავლებლის სურვილის არქონა გამოიყენოს მულტიმედია	2,1
სტუდენტების ტექნიკური უნარ-ჩვევების ხარვეზები	1,9
სხვა (დაასახელეთ): ტექნიკისა და პროგრამული უზრუნველყოფის შედარებით იშვიათი განახლება (2)	

პირველი ცხრილიდან ჩანს, რომ სტუდენტებმა მაღალი ქულით (5 ქულიდან 4-ზე მეტით) შეაფასეს უპირატესობის ყველა დასახელებული ფაქტორი, ხოლო განსაკუთრებულად მნიშვნელოვნად ჩათვალეს

სტუდენტებისთვის მულტიმედიის მიმზიდველობა (4,7 ქულა) და ის, რომ მულტიმედია მიმართავს როგორც აუდიო, ისე ვიდეო არხს (4,7 ქულა). ერთმა სტუდენტმა გამოთქვა აზრი, რომ მულტიმედია სასარგებლო

იქნება მისი მომავალი პროფესიული აქტივობისთვის, ხოლო ერთი სტუდენტის აზრით, მულტიმედია საუკეთესოა ლექსიკის გამდიდრებისთვის.

რაც შეეხება გამოწვევებს, ისინი, მართალია, გარკვეულ დონეზე არსებობს, მაგრამ სერიოზულ პრობლემას არ წარმოადგენს (საშუალო ქულა 5 შესაძლებელიდან 3-ზე

დაბალია). ერთადერთი გამოწვევა, რომელიც გარკვეულწილად (3,5 ქულა) აწუხებთ სტუდენტებს, არის უნივერსიტეტების ტექნიკური აღჭურვილობა და ინტერნეტის ხარისხი. ორმა გამოკითხულმა სტუდენტმა გამოთქვა აზრი, რომ ტექნიკისა და პროგრამული უზრუნველყოფის განახლება იშვიათად ხდება.

ცხრილი 2. გერმანული ენის მასწავლებელთა შეხედულებების შეჯამება

უპირატესობები	
მიმზიდველია ახალგაზრდებისათვის და ზრდის მათი სწავლის მოტივაციას	4,7
მიმართავს აუდიო და ვიდეო არხებს	4,7
მეტი ემოციური ზეგავლენა აქვს სტუდენტზე, ვიდრე ქაღალდზე დაბეჭდილ მასალას	4,7
ავითარებს სწავლის დამოუკიდებლობას, ხელს უწყობს მომავალში უწყვეტი სწავლის განხორციელებას	4,6
იძლევა ინდივიდუალური მიდგომის (სწავლის ტემპი, გამეორებების რაოდენობა, მასალის შერჩევა) შესაძლებლობას	4,6
იძლევა ენისა და კულტურის ერთობლიობის ჩვენების შესაძლებლობას	4,6
იძლევა ავთენტური (რეალური, ცხოვრებისეული) ენისა და მასალების გამოყენების საშუალებას	4,9
იძლევა ენის მატარებელთან კომუნიკაციის შესაძლებლობას	4,7
ქმნის სტრესისგან თავისუფალ გარემოს	4,7
სხვა (დაასახელეთ): ეს ინოვაციური / თანამედროვე მიდგომაა (3)	
გამოწვევები:	
უნივერსიტეტის ტექნიკური აღჭურვილობა, ხარისხიანი ინტერნეტის უზრუნველყოფა	2,9
მასწავლებლის ტექნიკური უნარ-ჩვევების ხარვეზები	3,3
მასწავლებლის მიერ მულტიმედიის ეფექტურად გამოყენების პადაგოგიური / მენეჯერული უნარ-ჩვევების ხარვეზები	2,9
მასწავლებლის სურვილის არქონა გამოიყენოს მულტიმედია	2,7
სტუდენტთა ტექნიკური უნარ-ჩვევების ხარვეზები	2,5
სხვა (დაასახელეთ): სახელმძღვანელოში სათანადო დავალებების ნაკლებობა(2)	

მეორე ცხრილიდან ჩანს, რომ გერმანული ენის მასწავლებლებმა მაღალი ქულით (5 ქულიდან 4-ზე მეტით) შეაფასეს უპირატესობის ყველა დასახელებული ფაქტორი, ხოლო განსაკუთრებულად მნიშვნელოვნად ჩათვალეს ავთენტური ენის გამოყენება (4,9 ქულა). სამმა გამოკითხულმა მასწავლებელმა გამოთქვა აზრი, რომ მულტიმედია არის ინიოვაციური, თანამედროვე მიდგომა.

რაც შეეხება გამოწვევებს, ისინი გარკვეული დონით მასწავლებლებისთვისაც

არსებობს, მაგრამ სერიოზულ პრობლემას არ წარმოადგენს (საშუალო ქულა 5 შესაძლებელიდან 3-ზე დაბალია). ერთადერთი გამოწვევა, რომელიც გარკვეულწილად (3,3 ქულა) აწუხებთ მასწავლებლებს, არის მასწავლებელთა ტექნიკური უნარ-ჩვევების ხარვეზები. ორმა გამოკითხულმა მასწავლებელმა ასევე გამოთქვა აზრი, რომ სახელმძღვანელოში სათანადო დავალებები ნაკლებად არის შეთავაზებული.

დასკვნა

მოტიანობაში გამოკითხვამ აჩვენა, რომ მულტიმედისადმი დადებითი განწყობა არსებობს როგორც სტუდენტთა, ისე მასწავლებელთა შორის. მის გამოყენებასთან დაკავშირებით გარკვეული გამოწვევები არსებობს, თუმცა ისინი მწვავე ხასიათს ნამდვილად არ ატარებენ.

ლიტერატურა

1. შავერდაშვილი ე. (2014): უცხოური ენების სწავლების საფუძვლები. თბილისი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
2. Burwitz-Melzer E. & Quetz J. (2002): Methoden für den Fremdsprachenunterricht mit Erwachsenen. In: Jürgen Quetz & Gerhard von der Handt (Hrsg.). Neue Sprachenlehren und lernen, S. 102-186. Bielefeld: W. Bertelsmann Verlag GmbH & Co. KG
3. Busse B. (2017): E-Learning an Hochschulen. Stand der Entwicklung unter didaktischer Perspektive. Konstanz: Universität Konstanz
4. Gabriel S. (2016): Spielend Fremdsprachenlernen – Wie können digitale Spiele den Fremdsprachenerwerb unterstützen? Abgerufen von https://www.medienimpulse.at/pdf/Medienimpulse_Spielend_Fremdsprachen_lernen_Wie_koennen_digitale_Spiele_den_Fremdsprachenerwerb_unterstuetzen_Gabriel_20160826.pdf
5. Issing L. & Klimsa P. (1997): Information und Lernen mit Multimedia. Weinheim: Beltz
6. Linguee (2019): Multimedia. In Wörterbuch Englisch-Deutsch. Abgerufen von <https://www.linguee.de/englisch-deutsch/uebersetzung/multimedia.html>
7. Mutanen A. (2015): Authentizität in Lehrwerken. Eine Analyse von vier Lehrwerken für Deutsch- und Schwedischunterricht. Magisterarbeit. Jyväskylä, Finnland: Universität Jyväskylä
8. Sander J. (1999): Mediengestütztes Bildungsmanagement. Saarbrücken: Springer. von der Handt G. (2002): Lernende, Lehrende und Institutionen. In: Jürgen Quetz & Gerhard von der Handt.

(Hrsg.). Neue Sprachen lehren und lernen, S. 9-29. Bielefeld: W. Bertelsmann Verlag GmbH & Co. KG.

9. Zhang X. (2016): Medienkompetenz bei Lehrenden an den Berufsschulen in China. Eine international vergleichende Analyse, Fallstudie und Gestaltungsvorschläge. Dresden: Technische Universität Dresden.

Advantages and Challenges of Multimedia Application for Foreign Language Teaching

Zurab Bolkvadze

Tbilisi State University

Humanitarian science faculty

36, Chavchavadze ave., 0179, Tbilisi, Georgia

Tel.: 599 141 617

E-mail: zura79@googlemail.com

Abstract

By multimedia the various environment is meant, which may contain information (texts, graphics, audio and video materials). Literature analysis and quantitative research has proved that the advantages of multimedia applications are much more numerous than its challenges.

Keywords:

Multimedia, technical training, autentical material, motivation, autonomy of study.

Преимущества и вызовы применения мультимедии для обучения иностранному языку

Болквადзе Зураб Арвелодович

Тбилисский государственный университет

Факультет гуманитарных наук

Пр. И. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия

Тел.: 599 141 617

E-mail: zura79@googlemail.com

Резюме

Под мультимедией подразумевается создание такой разнообразной среды, которая может содержать информацию (текстов, графики, аудио и видео материалов). Анализ литературы и количественное исследование доказало, что преимуществ применения мультимедии значительно больше, чем вызовов.

Ключевые слова:

мультимедия, технические средства обучения, аутентичный материал, мотивация, автономное обучение.

Creative Activity as One of the Main Tasks of Modern Educational Process

Rusudan Gotsiridze

Georgian Technical University

Department of Foreign Languages

77 Kostava str. 0175, Tbilisi, Georgia

Tel.: 593 301 342

E-mail: rusudangotsiridze@gmail.com

Abstract

The need for mastering foreign languages has considerably increased in modern society. The changes that have occurred laid the foundation of the requirements for the development of a comprehensive personality. This means that society needs people who have a creative attitude towards reality. Creative activity involves the development of emotional and intellectual spheres of an individual. This is one of the main tasks of modern educational process. Educational activities require the use of specific technologies to ensure the formation of creative thinking and the development of creative abilities of students.

Keywords:

emotional and intellectual spheres, creative abilities, creative process, creative product, creative person, creative environment.

Introduction

In modern pedagogy and psychology the problems of creativity are mostly investigated by foreign researchers D. Guilford, (1967), E. Torrance, (1963), S. A. Mednick, (1962) and others.

When we talk about creativity we distinguish four categories: creative process, creative product, creative person, and creative environment. Some researches are directed towards individuals, others to process and others to exploring the creative products and creative environment.

Main Body

Within the school, creativity can be developed in two ways:

1. With the help of specialized programs and
2. By creating a vantage educational environment for the development of creativity [Biljana Stojanova 2010].

Modern trends in the education system, such as computerization and informatization, lead to an increase in the number of independent work of students in the learning process. Such work implies the accumulation of information obtained from various external sources (foreign literature, electronic educational resources, communication in foreign forums, trips abroad, etc.), and in the processing of the information obtained from internal sources of the university, aimed directly at teaching a foreign language (textbooks, media resources, etc.), participation in various projects and researches. A variety of activities in the learning process and the dynamics of changes in the requirements of modern society to a specialist dictate the need for a creative approach and, consequently, the need for integrating activities aimed not only at acquiring knowledge, but also at developing thinking, creativity and personality traits in the learning process.

Modern society is interested in a person who:

- can think independently and solve various problems, i.e. obtain and apply acquired knowledge to solve them;
- possesses critical and creative thinking skills;
- knows how to work with the information competently;
- is sociable and communicable in society.

Increasing the practical significance of the subject requires a new approach to its development and, in particular, the creation of different versions of its study.

At the same time, despite many changes in teaching of a foreign language, the level of knowledge among the majority of students still remains low, and

the difficulties in mastering a foreign language are not reduced.

The main difficulties are:

- lack of active oral practice,
- lack of necessary individualization and differentiation of training,
- too much material (lexical and grammatical).

All the above-mentioned affects the efficiency of foreign language teaching at high school. As we know, the goal of teaching a foreign language is to master the communicative competence. But at the same time, students need to develop the ability to manage the processes of creativity:

- fantasizing
- understanding patterns
- solving problem situations.

Today, according to the requirements of time we need people who are able to make non-standard decisions and are able to think creatively.

Creative thinking skills are very different approaches to critical thinking skills. They involve a much more relaxed, open, playful approach. This can require some risk-taking. Critical thinking skills involve such approaches as:

- Looking for many possible answers rather than one.
- Allowing oneself to make crazy suggestions as well as those that seem sensible.
- Treating all ideas as if they may contain the seeds of something potentially useful.
- Allowing oneself to doodle, daydream or play with a theory or suggestion.
- Awareness that these approaches necessarily involve making lots of suggestions that are unworkable and may sound silly.
- Learning from what has not worked as well as from what did.

Creativity is often less ordered, structured and predictable. As you are not looking for ‚one‘ answer, you are likely to come up with lots of suggestions that are not ‚right‘. This can be difficult if you are more used to analytical and logical approaches. It

can also be experienced as ‚risky‘ as the prospect of making a mistake or not coming up with an answer.

Strong emotional self-management is often needed in order to allow creative thinking to emerge. It is important to be able to cope with risk, confusion, disorder and feeling that you are not progressing quickly. (Stella Cottrell, 2003)

Development of creative abilities is one of the most important tasks of education, because this process permeates all stages of the development of a personality, awakens the initiative and independence of decisions, the habit of free expression and self-confidence. Every child has a talent. Of course, not all children have the ability to compose, imagine and invent. Nevertheless, talents of a person can be developed in various ways:

- Ensuring a favorable atmosphere;
- The benevolence of a teacher, refusal to criticize a student;
- Enriching the environment with a variety of new items and situations to develop curiosity;
- Encouraging the expression of original ideas;
- Using a personal example of a creative approach to solving a problem;
- Enabling students to actively ask questions.

The development of creative abilities of students on the lessons of the English language will be more efficient if the following conditions are taken into account:

- the need for professional skill and teacher competence;
- availability of material and technical base of the university;
- formation of creative abilities is directly related to educational, cognitive and practical activities;
- pedagogical techniques, forms and methods of teaching English correspond to the individual age-specific characteristics and psycho-physiological capabilities of adults;
- use of the significant educational and creative tasks of different levels of complexity, focused on the individuality of the student, his degree of preparedness;

- use of extracurricular activities.

The system of cognitive creative tasks should contribute to the formation of the following characteristics of creative abilities:

- thought fluency;
- mind flexibility;
- originality.

In order to make the tasks interesting for students it is necessary to consider the following:

1. The principle of accessibility of tasks:

Students are active in the classroom if the material is available to them, if they see the real results of their work.

2. the principle of considering age peculiarities:

The teacher can achieve optimal results in teaching a foreign language if psycho-physiological features are taken into account when organizing students' activities.

3. The principle of individual approach and freedom of choice.

An individual approach to learning is based on teacher's good knowledge of students, what their possibilities and interests are. The choice of tasks is very important for the development of creative abilities: the better the material, the higher the level of creativity.

4. The principle of firmness and consciousness.

The principle of firmness is provided by:

- content of the material;
- sequence and dosage of the material;
- sufficient training of the knowledge gained through the system of creative tasks.

Consciousness in terms of linguistic material is carried out through a deep understanding of the patterns and phenomena of the language under study. This is achieved by comparing English with the native language, which helps not only to learn the basics of a foreign language, but also to reveal the creative abilities of students more completely.

5. The principle of communication.

Creative tasks open wide possibilities in various situations of live communication, allow to comprehend many linguistic phenomena more efficiently.

6. The principle of visibility.

The use of visual aids, plot construction of the teaching process; creative work contributes to the active learning of the language.

7. The principle of sequence of foreign language lessons with extracurricular work.

It is impossible to form a steady interest in learning a foreign language without linking the classroom activities with extracurricular activities, where students can fully demonstrate their creative abilities.

Out-of-class work is a convenient way to systematize the language material learned in class. If this knowledge is systematized and generalized through interesting, non-traditional forms of work, then this is the best way to foster an interest in learning a foreign language.

Conclusion

Thus, the use of creative exercises in the classroom, conducting non-traditional lessons and activities on extracurricular activities increase the interest of students in the subject, develop language skills and mental processes of students.

Literature

1. Cottrell Stella (2003): *The Study Skills Handbook*. Second Edition. Basingstoke: Palgrave Macmillan pp.222-229 <https://www.macmillanihe.com/studentstudyskills/page/creative-thinking-skills/>

2. Guilford J. P. (1967): *The nature of human intelligence*. New York: McGraw Hill.

3. Mednick S. A. (1962): *The associative basis of the creative process*. *Psychological Review*, 69(3), 220-232.

4. Stojanova Biljana (2010): *Development of creativity as a basic task of the modern educational system*, *Procedia Social and Behavioral Sciences* 2 3395–3400

5. <http://eprints.ugd.edu.mk/6320/1/Develop->

ment%20of%20creativity%20as%20a%20basic%20task%20of%20the%20modern%20educational.pdf

6. Torrance E. P. (1963): Education and the creative potential. Minneapolis, MN: University of Minnesota Press

შემოქმედებითი საქმიანობა, როგორც თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა

რუსუდან გოცირიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
უცხოურ ენათა დეპარტამენტი
კოსტავას ქ. №77, 0175, თბილისი,
საქართველო
ტელ.: 593 301 342
E-mail.: rusudangotsiridze@gmail.com

რეზიუმე

თანამედროვე საზოგადოების პირობებში მნიშვნელოვნად გაიზარდა უცხოური ენების დაუფლების საჭიროება. საზოგადოების ცხოვრებაში განვითარებული ცვლილებების შედეგად განსაკუთრებით აქტუალური გახდა სრულყოფილი პიროვნების განვითარების აუცილებლობა. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ საზოგადოებას სჭირდება ადამიანები, რომლებიც შემოქმედებითად მიუღებებიან რეალობას. შემოქმედებითი საქმიანობა გულისხმობს პიროვნების ემოციური და ინტელექტუალური სფეროების განვითარებას. შემოქმედებითობა თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. საგანმანათლებლო საქმიანობა მოითხოვს კონკრეტული ტექნოლოგიების გამოყენებას შემოქმედებითი აზროვნების ფორმირებისა და სტუდენტთა შემოქმედებითი უნარების განვითარებისათვის.

საკვანძო სიტყვები:

შემოქმედებითი შესაძლებლობები, შემოქმედებითი პროცესი, შემოქმედებითი პროდუქტი, შემოქმედებითი ადამიანი, შემოქმედებითი გარემო.

Творческая деятельность как одна из основных задач современного образовательного процесса

Гоциридзе Русудан Арчиловна
Грузинский Технический Университет
Департамент иностранных языков
Ул. Костава №77, 0175, Тбилиси, Грузия
Тел.: 593 301 342
E-mail: rusudangotsiridze@gmail.com

Резюме

В условиях современного общества значительно возросла потребность в овладении иностранными языками. Произошедшие изменения увеличили требования к развитию всеобъемлющей личности, а это значит, что обществу нужны люди, творчески относящиеся к реальности. Творческая деятельность предполагает развитие эмоциональной и интеллектуальной сфер личности. Это одна из основных задач современного образовательного процесса. Образовательная деятельность требует использования специфических технологий, обеспечивающих формирование творческого мышления и развитие творческих способностей учащихся.

Ключевые слова:

творческие способности, творческий процесс, творческий продукт, творческая личность, творческая среда.

Smart Technologies in Education

Rusudan Gotsiridze

Georgian Technical University

Department of Foreign Languages

77 Kostava str. 0175, Tbilisi, Georgia

Tel.: 593 301 342

E-mail: rusudangotsiridze@gmail.com

Abstract

The term Smart Education appeared in publications about e-learning even before the term “e-learning” entered the dictionaries and was introduced to educational institutions.

After the initial testing of information technologies in teaching, the potential for developing e-learning became obvious and a number of experts and practitioners were quick to announce the impending revolution in education.

The paper presents basic principles of the organization of smart-learning and the approaches for the formation of a smart-environment in the educational process.

Keywords:

e-learning, computer technology, means of communication, digital generation, smart devices, smart society, smart-technologies, smart education.

Introduction

Modern society is an information society, characterized by the development of computer technology and means of communications, devices around us are rapidly “getting smarter”, making life more comfortable, safe and interesting.

Main Body

The following is characteristic to this stage of the development of society and the economy:

- The role of information, knowledge and information technology increases;

- The number of people engaged in information technology, communications and the production of information products and services increases;

- The informatization of the society increases by means of telephones, radio, television, the Internet and the traditional media;

- A global information space is created, which provides effective interaction of people and their access to the world information sources.

The rapid development of information and communication technologies at the end of the last century gave birth to the “digital generation”, for which smart devices and gadgets are indispensable elements of life. The transition to a wireless network, the proliferation of smart terminals and the progression of smart devices is a new characteristic of the society.

The model of a new smart society implies the creation of an intelligent, high-tech, human-friendly environment by the help of modern information systems. Every year a person acquires more and more new knowledge which s/he is no longer able to reproduce without the help of information technologies. One of the main tasks of education is the formation of a modern education system based on SMART-technologies, the main goal of which is to achieve high quality education.

Smart-technologies in education can be considered as:

- the use of various gadgets (smart-phones, tablets and other similar devices) to deliver knowledge to students;

- the tool for the formation of an intelligent virtual learning environment.

The need for the development of an integrated intellectual educational environment is based on the development of smart-technologies, the intensity of their penetration into everyday life, on the reaction of the system of education to constantly changing challenges of time. The main reason for the use and implementation of smart education is the need for improving the existing system of education in ac-

cordance with the new requirements of the smart economy and the smart society.

Smart education is an educational paradigm that implies an adaptive implementation of the educational process, which is possible through the use of smart information technologies. The implementation of the smart education paradigm is aimed at shaping the process of training and education in order to acquire the knowledge, skills, abilities and competencies necessary for flexible and adaptive interaction with the changing social, economic and technological environment. Smart education should provide an opportunity to use the benefits of the global information society to meet educational needs and interests.

Smart classes use all interactive modules like videos and presentations and these visually attractive methods of teaching become appealing to students. In fact, smart classes are almost like watching movies. This kind of visual is eye-catching and young students can easily relate with it. This is because the audio-visual senses of students are targeted and it helps the students store the information fast and more effectively [Foradian 2013]

The main principles of smart education include:

- The use of relevant information in the educational program for solving educational tasks: the speed and volume of information flow in education and any professional activity is rapidly increasing, existing educational materials need to be supplemented with the information coming in real time to prepare students for solving practical problems.
- The organization of independent work of students such as cognitive, research and project activities. This principle is dominant in the preparation of students for creativity in solving the tasks and for independence in information and research activities.
- Implementation of the educational process in a learning environment, which should not be restricted to the territory of the educational institution or the limits of the distance learning system. The learning process must be continuous.
- Individualization of training. The variety of educational activities requires the provision of wide

opportunities for students to study, to use the tools in the educational process in accordance with their health possibilities, material and social conditions.

Smart Education involves a comprehensive modernization of all educational processes, as well as the methods and technologies used in these processes. Smart in terms of education entails the emergence of technologies such as a “smart” board, “smart” screens, access to the Internet from anywhere. Each of these technologies allows to build the process of developing content, its delivery and updating. Education becomes possible not only in the classroom, but at home and in any place: public places such as museums or cafes. The main element however, becomes active educational content, on the basis of which common repositories are created, allowing to remove temporal and spatial frames.

How can smart phones, mobile phones, tablets and other smart devices help learning? In the educational practice mobile technologies are used to:

- obtain information from online encyclopedias;
- search for necessary information;
- translate words or phrases through the program-translator;
- visualize the information;
- watch video lectures;
- test or question online;
- conduct various laboratory experiments.

If we analyze various technological solutions for the education sector, which are positioned as smart, we can list the following: smart boards, smart tutorials, smart projectors, software for creating and distributing educational content that has an interactive and communicative nature. A number of other technologies, first of all, various types of Social Media are also used in the segment of smart education.

Social net Facebook, Google services and tools, Wiki website, blogs, YouTube video hosting, cloud technologies - can and should be used in training. Blogs are well embedded in education as a means of feedback between teacher and students. Video lectures can be demonstrated on YouTube. With the help of Google services, the learning process can be made flexible and fun.

The development of Web 2.0 technologies, such as Facebook, YouTube, Twitter and blogs that allow people to create their own Internet content, also served as the basis for the formation of Smart Education. And how to use the capabilities of Web technology in teaching practice? There are a number of answers to this question:

- using online communities to freely distribute educational materials;
- independent creation of educational materials;
- participation in new forms of activity without special knowledge and skills.

Conclusion

Teachers can use these technologies to communicate with each other and with the parents of their students, to share professional experience, to enrich the content of lessons with new materials, to increase the motivation of students to learn and for professional development. Teachers and students become equal participants in the educational process: necessary information is equally accessible to everyone.

Literature

1. Тихомиров В.П. (2011): Мир на пути Smart Education: новые возможности для развития // Открытое образование. № 3
2. Россия на пути к Smart-обществу: монография/Под ред. проф. Н.В. Тихомировой, проф. В. П. Тихомирова (2012): М.: НП «Центр развития современных образовательных технологий»
3. Foradian (2013): The Benefits of Going for Smart Classrooms in your Education Institution, <https://www.foradian.com/the-benefits-of-going-for-smart-classrooms-in-your/>

სმარტ ტექნოლოგიები განათლებაში

რუსუდან გოცირიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უცხოურ ენათა დეპარტამენტი

კოსტავას ქ. №77, 0175, თბილისი,

საქართველო

ტელ.: 593 301 342

E-mail: rusudangotsiridze@gmail.com

რეზიუმე

ტერმინი “სმარტ განათლება” ელექტრონულ სწავლებასთან დაკავშირებულ პუბლიკაციებში ჯერ კიდევ მანამ გამოჩნდა, სანამ ტერმინი “ელექტრონული სწავლება” ლექსიკონებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაინერგებოდა.

განათლებაში ინფორმაციული ტექნოლოგიების პირველადი ტესტირების შემდეგ, ელექტრონული სწავლების განვითარების პოტენციური აშკარა გახდა, ხოლო ზოგიერთმა ექსპერტმა და პრაქტიკოსმა კი ელსწავლება განათლებაში რევოლუციადაც კი გამოაცხადა.

სტატიაში წარმოდგენილია სმარტ სწავლების ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები და გამოკვეთილია მიდგომები სმარტ გარემოს ჩამოყალიბებისათვის სასწავლო პროცესში.

საკვანძო სიტყვები:

ელექტრონული სწავლება, კომპიუტერული ტექნოლოგიები, საკომუნიკაციო საშუალებები, ციფრული თაობა, სმარტ მოწყობილობები, სმარტ საზოგადოება, სმარტ ტექნოლოგიები, სმარტ განათლება.

Смарт-технологии в образовании

Гоциридзе Русудан Арчиловна
Грузинский Технический Университет
Департамент иностранных языков
Ул. Костава №77, 0175, Тбилиси, Грузия
Тел.: 593 301 342
E-mail: rusudangotsiridze@gmail.com

Резюме

Термин «смарт образование» появился в публикациях, связанных с электронным обучением еще до появления термина «электронное обучение» в словарях и до его внедрения в образовательных учреждениях.

После первоначального тестирования информационных технологий в обучении, потенциал для развития электронного обучения стал очевидным, и ряд экспертов и практиков объявили о революции в образовании.

В статье представлены основные принципы организации смарт-обучения и подходы к формированию смарт-среды в образовательном процессе.

Ключевые слова:

электронное обучение, компьютерные технологии, средства коммуникации, цифровое поколение, смарт устройства, смарт общество, смарт-технологии, смарт образование.

კულტურათაშორისი კომუნიკაციის სირთულეები

ირინე გოშხეთელიანი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ევროპეისტიკის დეპარტამენტი

ნინოშვილის ქ. №35, 6010, ბათუმი,

საქართველო

ტელ: 599 558 947

E-mail: irine.goshkhetliani@bsu.edu.ge

რეზიუმე

ენობრივი კომპეტენციები კულტურათაშორისი კომუნიკაციის მნიშვნელოვანი ნაწილია, თუმცა არა ერთადერთი. ის მოითხოვს სხვადასხვა კულტურის გაგებას და აღქმას. თუ ადამიანი დიდი ხნით აპირებს სხვა ქვეყანაში ყოფნას, მან უნდა შეძლოს იმ განსხვავებების მიღება და მათთან ადაპტირება, რაც იმ ქვეყნის კულტურისთვის არის დამახასიათებელი. ეფექტური კულტურათაშორისი კომუნიკაცია სასიცოცხლო უნარ-ჩვევაა, ენის ცოდნასთან ერთად, მრავალეროვნული ქვეყნებისთვის, კომპანიებისათვის და ინდივიდებისთვის, ასევე მნიშვნელოვანია სხვა კულტურის მქონე ადამიანებთან მუშაობისთვის გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად. ამისთვის აუცილებელია ადამიანებმა შეიძინონ ენობრივი ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები, შეისწავლონ იმ ქვეყნის კულტურა და ტრადიციები, სადაც აპირებენ გამგზავრებას, აღიარონ მათთვის დამახასიათებელი ქცევის ნორმები და ღირებულებები. ადრე შექმნილმა სტერეოტიპებმა ხელი არ უნდა შეუშალოს კულტურათაშორისი კომუნიკაციის დამყარებას. თუმცა, ამავე დროს, არ უნდა დაივიწყონ მშობლიური კულტურის ფასეულობები, რწმენა და ტრადიციები. მათ უნდა შეძლონ უცხო გარემოში ადაპტირება ცნობიერების ამალღებით. ამისთვის კი, ადამიანები ცდილობენ საჭირო ენობრივი და ინტერკულტურული კომპეტენციების ჩამოყალიბებას, ინფორმაციის

გაზიარებას სხვადასხვა კულტურის და სოციალური მდგომარეობის მქონე ადამიანებთან, რაც ურთიერთპატივისცემით მიიღწევა. სტატიის მიზანია, იმ სირთულეების მიზეზების გამოკვლევა, რაც ხვდებათ ინდივიდებს კულტურათაშორისი კომუნიკაციის დროს.

საკვანძო სიტყვები:

კულტურათაშორისი კომუნიკაცია, კულტურა, სოციალური ურთიერთობები, ენობრივი და კომუნიკაციური კომპეტენციები.

შესავალი

კულტურა, თავისთავად, ყველაზე რთული კონცეპტია განსასაზღვრავად, ასევე რთულია მისი ნაციონალიზმის და ეთნიკურობის ცნებებისგან გამორჩევა. ანთროპოლოგიური თვალსაზრისით, კულტურა განმარტებულია, როგორც ნებისმიერი ჩვევა და მსოფლმხედველობა.

ბევრი სხვადასხვა მეტაფორა გამოიყენეს მეცნიერებმა ტერმინ „კულტურის“ განსამარტავად. მაგალითად, ვივერმა [Weaver 1993] კულტურა შეადარა აისბერგს, რომლის მხოლოდ ერთი-მეშვიდედი არის ხილული, მაშინ როცა, დანარჩენი წყლით არის დაფარული და უხილავია. კულტურა ბრაუნის აზრით „წებოა“, რომელიც ხალხს ერთმანეთთან აკავშირებს [Brown 1994:163]. ჰოფსტედმა [Hofstede 1997:4] კულტურას „გონების კომპიუტერული პროგრამები“ უწოდა. ზოგჯერ, ერთი ჯგუფის ქვეშ გაერთიანებული პიროვნებები, შეიძლება სხვადასხვა ქვეჯგუფებს მივაკუთვნოთ, ისინი ორმაგი, ზოგჯერ მრავალი კულტურის ან ეთნოსის წარმომადგენლები არიან. თუმცა ეს დროთა განმავლობაში შეიძლება შეიცვალოს. ბაბა [Bhabha 1994] კულტურის ასეთ კომპონენტებს ჰიბრიდულ კულტურებს უწოდებს [Finkbeiner 2009:131].

ძირითადი ნაწილი

დებორა ტანენი აღნიშნავს [Tannen 1986:30], რომ დედამიწის ბედი დამოკიდებულია კულტურათაშორის კომუნიკაციაზე. ეს სიტყვები ნაწილობრივ გამოსატყვევებელია ჩვენს გლობალურ სამყაროში წარმატებული კულტურათაშორისი ურთიერთობა მნიშვნელოვანია ყველასთვის, ერებისთვის, ეთნიკური და სოციალური ჯგუფებისთვის და ინდივიდებისთვის.

ამ პროცესის წარმატება დიდად არის დამოკიდებული მოსაუბრეთა ფონურ ცოდნაზე. ხაზი უნდა გავუსვათ მათ კულტურულ ცოდნასაც, იმ ფაქტორებს, რაც ესმარება ადამიანებს კომუნიკაციაში, როგორ ურთიერთდამოკიდებულებაში არიან ენა და კულტურა ერთმანეთთან, როგორ არის ასახული სამყარო ადამიანის ცნობიერებაში, როგორია პიროვნული და კოლექტიური მენტალობა, იდეოლოგია და კულტურა ასახული ენაში, როგორ ქმნიან ენა და კულტურა სამყაროს სურათს, ჯერ მშობლიურ, შემდეგ კი უცხოურ ენაში.

წიგნში „Becoming Intercultural,“ კორეული წარმოშობის ამერიკელი მეცნიერი იანგ იუნ კიმი (2001) წერს, რომ მილიონობით ადამიანი იცვლის საცხოვრებელს ყოველ წელიწადს. ემიგრანტები და ლტოლვილებიც ასევე იცვლიან ადგილსამყოფელს. ამ მზარდ ინტეგრირებულ სამყაროში, კულტურათაშორისი ადაპტაცია ცენტრალური და არსებითი საკითხია.

თანამედროვე მრავალეთნიკურ საზოგადოებაში ახალმოსულებმა და ადგილობრივებმა ერთმანეთთან კომუნიკაცია უნდა ისწავლონ. ერთ დიდ გლობალურ სოფლად ქცეულ მსოფლიოს მოსახლეობას, რომლებიც აგრძელებენ ეროვნული ტრადიციებით ცხოვრებას, აუცილებლად მიაჩნია კულტურათაშორისი ურთიერთობის გაღრმავება, რათა შეძლონ იმ გამოწვევებთან ადაპტირება, რომლის წინაშეც ყველა დგას. ამ პროცესში ადამიანებს ესმარება შესაბამისი

ენის ცოდნა. მაგალითად, საქართველოში ჩამოსული უცხოელი მასწავლებლები ცდილობდნენ ქართული ენის შესწავლას ადგილობრივ მოსახლეობასთან კომუნიკაციის დასამყარებლად. წიგნში „ფიქრები ძროხაზე და სხვა...“ ამერიკელი მასწავლებელი პიტერ ჰენდრიქსი წერს: „დიახ, ლინგვისტური უნარ-ჩვევები! მე ისინი ძალიან მჭირდება. ჯერჯერობით მხოლოდ ხუთი კვირაა, რაც ქართულს ვსწავლობთ და უკვე ბევრი რაღაცის თქმა შეგვიძლია. გრამატიკა რთულია და ძალიან განსხვავდება ინგლისური და რომანული გრამატიკისაგან. მაგალითად, წინადადებაში არსებითი სახელი იბრუნება ზმნასთან ერთად. კიდევ ერთი სირთულეა სიტყვების სიგრძე და თანხმოვნების დაჯგუფება. ხანდახან ათჯერ მაინც მჭირდება სიტყვის მოსმენა, თავში რომ გამიჯდეს“ (13). ასევე უხდებათ ქართველებს სხვადასხვა უცხოური ენის შესწავლა, როცა სხვა ქვეყნებში მიდიან საცხოვრებლად. ენის და კულტურის შესწავლით ხდება შესაძლებელი კულტურათაშორისი კომუნიკაციის დამყარება.

ენა, როგორც კულტურათაშორისი კომუნიკაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება, რთული სემიოტიკური სისტემაა, რომელიც სხვადასხვა კულტურის მქონე ადამიანებს სოციალური ურთიერთობის დამყარების საშუალებას აძლევს და უყალიბებს ენობრივ და კომუნიკაციურ კომპეტენციებს. ამავე დროს, ენა, ნათესაური ურთიერთობები, სოციალური ორგანიზაციები და სხვა ყოველდღიური ქმედებები ადამიანთა ჯგუფებს განასხვავებს ერთმანეთისაგან [Scollon and Scollon 2000].

კულტურათაშორისი კომუნიკაციის შესახებ არსებული ლიტერატურა (მათ შორის კიმის 2001 წლის ნაშრომი, რომელშიც ის კულტურათაშორის ადაპტაციაზე და კომპეტენციაზე საუბრობს) ხშირად მიმართავს კულტურულ სწავლებას, თუმცა კონკრეტულად არ ასახელებს, კერძოდ რა უნდა შე-

ვისწავლოთ. მთავარი ლინგვისტური პარადიგმა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში „გამოცოცხლდა“ [Harris 1993] და სტერილური, ფორმალური მიდგომა გრამატიკისადმი შეიცვალა კულტურის და მნიშვნელობის შესწავლისადმი ინტერესით.

განვიხილოთ ემიგრანტების მაგალითი, როცა ისინი ცხოვრებას იწყებენ ინგლისურად მოლაპარაკე ქვეყნებში, ცდილობენ კულტურული ცოდნის მიღებას და კულტურულ ტრანსფორმაციას. მაიკლ ნოვაკი 1972 წლის ეთნიკური მოძრაობის შესახებ წერდა: არ არსებობს ისეთი ცნება, როგორცაა ჰომო ამერიკანუსი. აქ არ არსებობს ერთი კულტურა, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ არ გვაქვს კარგად განვითარებული კულტურა [Novak 1972:18. ციტირებულია Kim 2001:24].

ა. ვიეუბიცკა [Wierzbicka 2006], კულტურული პლურალიზმის ახალი იდეოლოგიის დახასიათებისას, საუბრობს ბევრი სხვადასხვა კულტურის თანაარსებობის შესახებ ერთ ქვეყანაში, მაგალითად აშშ-ში. ინგლისურ ენას იქ მცხოვრები ადამიანები კომუნიკაციისთვის იყენებენ, თუმცა არ არიან ასოცირებული ერთმანეთთან კულტურული ნიმუშებით და ღირებულებებით. ემიგრანტები სწავლობენ ენას, თუმცა არ არიან ვალდებულნი შეისწავლონ ინგლისური კულტურა, მაგრამ დროთა განმავლობაში ისინი ამ კულტურის ნაწილი ხდებიან, რადგან ამერიკის მრავალეროვან საზოგადოებაში დომინანტური არის ანგლო-ამერიკული კულტურა.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, საქართველოში ჩამოსული ამერიკელი მოხალისე მასწავლებლები მშვიდობის კორპუსში მიწერილ წერილებში აღწერდნენ თავიანთ შთაბეჭდილებებს საქართველოში ყოფნის შესახებ, რომლებიც დაიბეჭდა წიგნში „ფიქრები ძროხაზე და სხვა“. მოხალისეები არა მხოლოდ სწავლობდნენ ქართულ ენას, არამედ ეცნობოდნენ ქართულ კულტურას, შეხედულებებს, რომლებიც მათ ზოგჯერ

აოცებდათ. მაგალითად, ერთ-ერთი ამერიკელი მასწავლებელი წერდა: „საქმეები კარგად მიდის. ხალხი ისე აღარ გვაშტერდება, გავუგეთ გემო მინერალურ წყალს. აქ ავადმყოფობა მართლაც რომ ნერვებზე მომშლელია. ჩვენი „მასპინძელი დედა“ ძალზე შეწუხებული იყო; სულ „რატომ, რატომ?! – გაიძახოდა, თითქოსდა ამის მიზეზი გვცოდნოდა. ზოგიერთ ადამიანს აქ საკმაოდ უცნაური წარმოდგენა აქვს ავადმყოფობის გამომწვევი მიზეზების შესახებ. მაგალითად, ერთმა საკუთარი ყელის ტკივილი იმით ახსნა, რომ „ნაყინი ჭამა“. ითვლება, რომ არ შეიძლება სველი თმით გასვლა მაშინაც კი, როდესაც დილის ცხრის ნახევარზე უკვე 32 გრადუსია“ (გვ. 12).

როგორც ვხედავთ, კულტურულ სხვაობას ზოგჯერ გაუგებრობამდე მივყავართ. თუმცა სხვა გარემოში მყოფი ადამიანები ეჩვევიან და ცდილობენ შეეგუონ არსებულ სიტუაციას.

ჩვენი საუბარის მანერა ასახავს ჩვენს აზროვნებას. გამოცდილ მოსაუბრეს შეუძლია კარგად შერჩეული სიტყვებით და ფრაზებით დამალოს ის, თუ რაზე ფიქრობს, თუმცა ბოასი თვლიდა, რომ საუბარი მაინც ასახავს მოსაუბრის აზროვნების თავისებურებას.

აზროვნების გზები, რომლებიც საზოგადოების მიერ არის გაზიარებული, რეალიზებას ჰპოვებენ მეტყველებაში, რომლებიც იცვლებიან აზროვნების ტიპის შეცვლასთან ერთად. მაგალითად, დრამატული სოციალური ტრანსფორმაციების შემთხვევაში, მეტყველების სტილი შეიძლება სწრაფად შეიცვალოს.

რა თქმა უნდა, კულტურა არ არის შეზღუდული, თანმიმდევრული და დროის არ მქონე სისტემა [Strauss and Quinn 1997, 3]. ბოლო რამდენიმე ათეული წელია, მეტყველების კულტურათაშორისი კვლევები ხშირად განიხილება „მეტყველების ეთნოგრაფიად“ [Hymes 1962]. ვიეუბიცკა [Wierzbicka 2006] ამ

ბობს, რომ ის ვერ ხედავს აზროვნების თეორიის ალტერნატივას მეტყველების ეთნოგრაფიაში, ან უფრო ზუსტად, სოციალური პრაქტიკების ეთნოგრაფიაში.

ადამიანები, ვისთვისაც ინგლისური არის მშობლიური, მათ შორის ლინგვისტები, იშვიათად ინტერესდებიან, როგორ აღიქმება ინგლისური კულტურა იმ უცხოელების მიერ, ვინც მათ ქვეყნებში ჩადიან საცხოვრებლად. ამ დროს, კულტურათაშორისი კომუნიკაცია აუცილებელი პირობაა გლობალურ სამყაროში წარმატებული სოციალური ურთიერთობისთვის, რაც თვალსაჩინო ხდება სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა სოციალური კომუნიკაციის დროს.

დასკვნა

ამგვარად, კულტურათაშორისი კომუნიკაციის კომპეტენციის ჩამოყალიბებას და გათვითცნობიერებას შეუძლია შექმნას სინთეზი, რომლის მეშვეობით სხვადასხვა კულტურის ადამიანები შეძლებენ ერთმანეთს გაუგონ და გაუზიარონ ახალი იდეები, დაძლიონ ჩამოყალიბებული სტერეოტიპები, გააღრმავონ ენობრივი ცოდნა კულტურის შესწავლით, გაითვალისწინონ არავერბალური თავისებურებები. ამავ დროს, მნიშვნელოვანია ეროვნული კულტურის, რწმენის, ღირებულებების, ტრადიციების და, რაც მთავარია, მშობლიური ენის პატივისცემა და შენარჩუნება, მისი სხვა კულტურის მქონე საზოგადოებისათვის გაცნობა, რადგან ისინი ჩვენი სულიერი მემკვიდრეობის მიმნიშნებელი და ჩვენი სულიერი სიმდიდრის გამომხატველები არიან.

ლიტერატურა

1. Finkbeiner Cl. (2009): Culture and Good Language Learners. From “Lessons from Good Lan-

guage Learners; edited by Carol Griffiths. Cambridge University Press(p131-141)

2. Harris A. R. (1993): Gender and Race in the Theory of Deviant Type-Scripts. Wiley

3. Goddard C. and Wierzbicka A. (2004): Cultural scripts: What are they and what are they good for? The Intercultural Pragmatics 1-2. 153–166

4. Kim Young Yun (2001): Becoming Intercultural. University of Oklahoma, USA.

5. Scollon R., Scollon S.W. (2000): Intercultural Communication: A Discourse Approach. Wiley

6. Tannen D. (1986): That’s not What I Meant! How conversational style makes or breaks relationships. New York: Ballantine

7. Wierzbicka A.(2006): English: Meaning and Culture. Oxford University Press

Difficulties of Intercultural Communication

Irine Goshkheteliani

Batumi Shota Rustaveli State University

35, Ninoshvili str. 6010 Batumi, Georgia

Tel.: 599 558 947

Email: irine.goshkheteliani@bsu.edu.ge

Abstract

Linguistic competence is an important part of intercultural communication. It requires understanding and perception of different cultures. Moreover, if a person is going to spend some time in another country, he should show willingness to accept the differences in their culture and social life. Effective intercultural communication is a vital skill, along with language knowledge, for the multinational countries, companies and people. To avoid misunderstanding people need to acquire language competence and practical skills, to study the culture and traditions of the country where they plan to travel

and recognize their behavioral norms and values. Previous stereotypes should not interfere with intercultural communication. But at the same time, you should not forget the values, beliefs and traditions of your native culture. They should be able to adapt to a foreign environment by raising awareness. For this purpose, people should develop the necessary linguistic and intercultural competences, share information with people of different cultural and social backgrounds that can be achieved by mutual respect. The purpose of the paper is to examine the reasons of difficulties in intercultural communication.

Keywords:

intercultural communication, culture, social interaction, linguistic and communicative competences.

Трудности межкультурной коммуникации

Гошкетелиани Ирине Ивановна
Батумский государственный университет
им. Шота Руставели
Департамент европеистики
Ул. Ниношвили №35, 6010, Батуми, Грузия
Тел.: 599 558 947
Email: irine.goshkheteliani@bsu.edu.ge

Резюме

Языковые компоненты являются значительной, но не единственной частью межкультурной коммуникации. Нужно понять и воспринять разные культуры, и более, если человек долгое время находится в чужой стране, он должен принять и адаптироваться к тем различиям, которые свойственны чужой ему культуре. Эффективная межкультурная коммуникация – жизненный навык, люди должны приобрести языковые знания и практические навыки, изучить культуру и тради-

ции тех стран, куда собираются ехать, признать тамошние нормы поведения и ценности. Ранние стереотипы не должны мешать установлению межкультурной коммуникации, хотя не надо забывать и родные культурные ценности, веру и традиции. В чужой среде люди стараются установить нужные им языковые и интеркультурные коммуникации, обмениваться информацией с индивидами разных культур и социального слоя, что достигается обоюдным уважением.

Целью статьи является исследование причин тех трудностей, которые выявляются во время межкультурной коммуникации.

Ключевые слова:

межкультурная коммуникация, культура, социальные отношения, языковые и коммуникативные компетенции.

მნემოტექნიკები - ლოკი მეთოდი

სოფიო დედამაზიშვილი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერე-
ბათა ფაკულტეტი
პედაგოგიის ინსტიტუტი
ჭავჭავაძის გამზ. №11ა, 0179, თბილისი,
საქართველო
ტელ: 577 388 177
E-mail:sopio.dedalamazishvili@gmail.com

რეზიუმე

სხვადასხვა სასწავლო სტრატეგიების, ტექნიკების გამოყენებით სასწავლო პროცესის გამარტივება და ისეთი შედეგების მიღწევაა შესაძლებელი, რაც მხოლოდ დაზეპირების საფუძველზე ძალიან რთულია. მნემოტექნიკები ახალი ინფორმაციის იოლი გზით, ხანგრძლივად დამახსოვრების და მათი ადვილად გახსენების მეთოდებია. ლოკი მეთოდის მეშვეობით შესაძლებელია დიდი რაოდენობის სიტყვების მარტივად დამახსოვრება. ამ ტექნიკას ჯერ კიდევ ბერძენი და რომაელი ორატორები იყენებდნენ მოხსენების გაკეთების დროს, საკვანძო საკითხების დასამახსოვრებლად. ლოკი მეთოდის აღმოჩენის ისტორია უკავშირდება ბერძენი პოეტის, სიმონიდეს სახელს, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე 500 წლის წინ ცხოვრობდა. მან ერთ-ერთი წვეულების ტრაგიკულად დასრულების შემდეგ, შეძლო იქ მყოფი გარდაცვლილი ადამიანების იდენტიფიცირება, მათ მიერ წვეულების დროს დაკავებული ადგილების გახსენების საფუძველზე. ლოკი ტექნიკისთვის: მნიშვნელოვანია იმ ადგილების შერჩევა, რომლებიც ძალიან კარგად ნაცნობ გზაზეა განლაგებული; სასწავლო ცნებების წარმოსახვითი სურათებით რიგის მიხედვით დაკავშირება სხვადასხვა ადგილებთან; ინფორმაციების გახსენებისას წარმოდგენაში გზის გავლა, პირველი ადგილიდან ბოლომდე და კონკრე-

ტულ ადგილებთან დაკავშირებული წარმოსახვითი სურათებით, სასწავლო ცნებების გახსენება.

საკვანძო სიტყვები:

მნემოტექნიკები, ლოკი მეთოდი, უცხო სიტყვები.

შესავალი

მნემოტექნიკები (ბერძენულიდან: mneme- გახსენება და techne-ხელოვნება) ახალი ინფორმაციის იოლი გზით, ხანგრძლივად დამახსოვრების და მათი ადვილად გახსენების მეთოდებია. არსებობს სხვადასხვა სახის მნემოტექნიკები, რომლების გამოყენება კონკრეტული მასალის დასამახსოვრებლად შესაძლებელია.

ძირითადი ნაწილი

მინდა წარმოგიდგინოთ Locitechnik – ლოკი ტექნიკა: ბერძენი და რომაელი ორატორები იყენებდნენ ლოკი ტექნიკას, რათა მოხსენების გაკეთების დროს, საკუთარი გრძელი სიტყვის მნიშვნელოვანი საკითხები დაემახსოვრებინათ. ამ ტექნიკის ლათინური სახელი (ლათინურად: locus-ადგილი) თარგმანში „ადგილების ტექნიკას“ ნიშნავს და ციცერონი და კვინტილიანი (Cicero და Quintilian) მას ასე მოიხსენიებდნენ. ბერძენის რიტორიკულ სკოლებში ვიზუალური დამახსოვრების სხვადასხვა მეთოდები იყო გავრცელებული.

„ლოკი ტექნიკა“ უკავშირდება ბერძენი პოეტის, სიმონიდეს სახელს, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე 500 წლის წინ ცხოვრობდა. „ლოკი ტექნიკის“ აღმოჩენის ისტორია, იძლევა ამ ტექნიკის მუშაობის პრინციპის ახლის შესაძლებლობას [s. Yates 1984]. პოეტ სიმონიდეს ჰქონდა დავალება,

რომ ერთ-ერთ შეკრებაზე მასპინძლის სადი-
დებელი ლექსი წარმოეთქვა. თავის ლექსში
მან ჩააქსოვა რამდენიმე მონაკვეთი ღმერ-
თების, კასტორის და პოლუქსის (Castor da
Pollux) ქების შესახებ. გამოსვლის შემდეგ
მასპინძელმა მას შეთანხმებული ჰონორა-
რის მხოლოდ ნახევარი გადაუხადა და
უთხრა, რომ დანარჩენი თანხა კასტორისა
და პოლუქსისთვის გამოერთმია. ცოტა ხნის
შემდეგ სიმონიდესს ორმა ახალგაზრდა
კაცმა, კასტორმა და პოლუქსმა სთხოვა გა-
რეთ გამოსვლა. ვიდრე ის გარეთ იყო, სახ-
ლი ჩამოინგრა და ყველა შიგ მყოფი ქვეშ
მოიყოლა. როდესაც ნანგრევებიდან მიცვა-
ლებულების ამოყვანა შეძლეს, ნათესავეებმა
ვერ ამოიცნეს ისინი. სიმონიდესმა, რომელ-
მაც გაიხსენა, ვინ რომელ ადგილზე იჯდა,
მოახერხა მათი იდენტიფიცირება. ამ შემ-
თხვევის შემდეგ, მას აზრად მოუვიდა, რომ
ინფორმაციის ადვილად გასახსენებლად
ვიზუალური სურათები გადაენაწილები-
ნა ნაცნობ გარემოში არსებულ სხვადასხ-
ვა ადგილებზე. მოგვიანებით შესაძლებელი
იყო ამ ადგილების წარმოდგენა და იქ „მი-
მაგრებული“ ინფორმაციების გახსენება.

ლოკი მეთოდით, ზედმეტი ძალისხმევის
გარეშე, თითქმის ყველას შეუძლია ერთი
მოსმენით, სწორი თანმიმდევრობით 50 სიტყ-
ვის დამახსოვრება. ამ ტექნიკის გარეშე ეს
თითქმის შეუძლებელია. ლოკი ტექნიკისთ-
ვის:

1. მნიშვნელოვანია იმ ადგილების შერ-
ჩევა, რომლებიც ძალიან კარგად ნაცნობ
გზაზეა განლაგებული;

2. სასწავლი ცნებების წარმოსახვითი
სურათებით რიგის მიხედვით დაკავშირება
სხვადასხვა ადგილებთან;

3. ინფორმაციების გახსენებისას წარმოდ-
გენაში გზის გავლა, პირველი ადგილიდან
ბოლომდე და კონკრეტულ ადგილებთან და-
კავშირებული წარმოსახვითი სურათებით,
სასწავლი ცნებების გახსენება.

სურათების აგების დროს, რომლებითაც

სიტყვებს და ადგილებს ვაკავშირებთ, შემ-
დეგი წესებია გასათვალისწინებელი. ეს წე-
სები რიცხვებთანაც გამოიყენება:

- სურათები ისე უნდა იყოს აგებული, რომ
ადგილი და სიტყვა ერთმანეთს ავსებდეს და
მათ შორის ინტერაქცია იყოს. მაგალითად,
თუ გვინდა, რომ სიტყვა „ბავშვი“ და ად-
გილი „შუქნიშანი“ ერთმანეთს დავუკავში-
როთ, არ იქნება ეფექტური, ისინი მხოლოდ
ერთმანეთის გვერდით რომ წარმოვიდგინოთ.
ინტერაქცია, როდესაც ბავშვი შუქნიშანის
ლილაკს აჭერს ხელს, მარტივად გასახსენე-
ბელია. როდესაც ერთი ცნება, წარმოდგე-
ნაში მეორე ცნებაშია, მაგალითად ყუთში, ჩე-
მოდანში. ურთიერთკავშირების ეფექტიანო-
ბა შენარჩუნდება, მიუხედავად იმისა, რომ
ეს ნივთები სინამდვილეში არ დაგვინახავს
[Neiser და Kerr 1973].

- ეს სურათები ცოცხალი და ფერადი
უნდა იყოს. ძირითადი სიტყვა კონკრეტულ
სურათში თვალშისაცემ ადგილს უნდა იკა-
ვებდეს, მაგალითად, არ უნდა ჰქონდეს იგივე
ფერი ან ისეთ გარემოში იყოს, რაც ისედაც
ლოგიკურია. მაგ., წითელი წიგნი, რომელიც
წითელ დოკუმენტებზე დევს, რთული გასა-
ხსენებელი იქნება.

- სურათები შესაძლებელია უცნაური
იყოს. მაგ., შეიძლება გაზვიადებულად დიდი
იყოს და სასაცილო ადგილას მდებარეობ-
დეს, ან უცნაური ფერი ჰქონდეს.

- კარგია, თუ ხატოვანი წარმოდგენები
ემოციებს იწვევენ, ასე მათი გახსენება იოლ-
დება.

ბევრი კვლევით დასტურდება „ლოკი ტე-
ქნიკის“ ეფექტიანობა [Ross და Lawrence 1968;
Bower 1973; Grovitz 1969]. გრონინგერმა [Gro-
ninger 1971] ცდაში მონაწილე პირებს ლოკი
ტექნიკით 25 სიტყვა ასწავლა, საკონტროლო
ჯგუფს არ მიუღია არანაირი ინსტრუქცია.
ორივე ჯგუფს შეეძლო თვითონ გადაეწვი-
ტა, რამდენ ხანში ისწავლიდნენ სიტყვებს.
საექსპერიმენტო ჯგუფს ნაკლები დრო დას-
ჭირდა სასწავლად – ერთი კვირის შემდეგ

ამ ჯგუფის წევრებს 6 სიტყვით მეტი ახსოვდათ, ვიდრე საკონტროლო ჯგუფის მონაწილეებს. ხუთი კვირის მერე საექსპერიმენტო ჯგუფს 20 სიტყვა ახსოვდა, საკონტროლოს 10. ორივე ჯგუფმა გარკვეული დროის შემდეგ მოცემულ 50 სიტყვაში სრულად ამოიცნო ნასწავლი 25 სიტყვა.

ასაკიან ადამიანებსაც უადვილდებათ ლოკი ტექნიკით სწავლა [Kliegl et al. 1989]. Gross et al. (2014) კვლევაში ლოკი მეთოდით ნასწავლი მასალა კვირების შემდეგაც არ დაავიწყდათ ცდაში მონაწილე პირებს. გამოიკვეთა, რომ მათთან გზის გაყოლებით მოცემული ადგილების გამოყენება ბევრად უფრო ეფექტურია, ვიდრე ადგილების შერჩევა სახლის შიგნით [Massen 2009]. საკუთარი შერჩეული მარშრუტი, ბევრად უფრო ეფექტურია, ვიდრე მზად მიწოდებული [Moe და De Beni 2004, 2005].

დასკვნა

ამრიგად, ლოკი მეთოდის გამოყენების დროს უნდა შეირჩეს ისეთი ადგილები, რომლებიც კარგადაა ნაცნობი, რათა მათ გასახსენებლად ძალისხმევა არ იყოს საჭირო და ყურადღება მხოლოდ ახალი სიტყვებისკენ იყოს მიმართული. ცოცხალი, აქტიური სურათების წარმოდგენის გამოყენება აუმჯობესებს მეხსიერების შესაძლებლობებს. სიტყვების სწავლის პროცესში მნიშვნელოვანია ინტერაქცია სიტყვებს შორის. სურათების ემოციური კონტექსტიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ემოციურად დატვირთული სურათები უფრო უკეთეს შედეგებს აჩვენებენ, თუმცა არა აქვს მნიშვნელობა გრძნობები, ემოციები პოზიტიურია თუ ნეგატიური.

ლიტერატურა

1. Petra A. Arndt/Michaela Sambaris (2017): Didaktik und Neurowissenschaften Dialog zwischen Wissenschaft und Praxis, narr Studienbücher

2. Metzger W., Schuster M. (2016): Lernen zu Lernen: Lernstrategien wirkungsvoll einsetzen

3. Aeppli J., Gasser L., Gutzwiller E., Tattenborn A. (2010): Empirisches wissenschaftliches Arbeiten. Ein Studienbuch für die Bildungswissenschaften, 4. Auflage

Mnemo Technique – Loci Method

Sopio Dedalamazishvili

Tbilisi State University

Faculty of Psychology and Educational Sciences

Department of Educational Sciences

11a, Ilia Chavchavadze Av, 0179, Tbilisi, Georgia

Tel: 577 388 177

E-mail: sopio.dedalamazishvili@gmail.com

Abstract

With the help of various learning strategies and techniques it is possible to facilitate the learning process and to achieve results that are otherwise difficult to achieve with the help of stubborn memorization. Memory techniques are the methods that make it easier to store and remember new information. The loci method makes it possible to remember many words easily. Greek and Roman speakers used the locating technique to remember the most important points of their long speeches. The invention of the loci method goes back to the Greek poet Simonides, who lived around 500 BC. After the tragic end of a celebration, he was able to identify the dead by remembering who was sitting in which place. The Loci Technique: A sequence of places is selected that lie on a known path; The images of the terms to be learned are visually connected with the different places one behind the other; When the information is retrieved, the path from the first to the last place in the imagination is gone again and the information is recognized in the imaginary images.

Keywords:

mnemonics, loci method, foreign words.

Мнемотехнологии – метод локи

Дедаламазишвили Софио Ношрвановна
Тбилисский Государственный Университет
Факультет научного образования и психологии
Институт педагогики
Пр. И. Чавчавадзе N 11а, 0179, Тбилиси, Грузия
Тел. 577 388 177
E-mail: sopio.dedalamazishvili@gmail.com

Резюме

Существует возможность достичь таких результатов с помощью различных учебных стратегий и техник в процессе обучения, которые невозможно достичь только с помощью заучивания наизусть. Мнемотехника это метод упрощенного запоминания и воспроизведения новой информации наиболее легким путем. С помощью метода локи можно очень просто запомнить большое количество слов. Эту технику применяли еще римские и греческие ораторы в своих выступлениях

для запоминания ключевых вопросов. Открытие метода локи связывают с именем греческого поэта Симонида, который жил 500 лет назад до н. э. После трагического завершения одной из вечеринок, он смог идентифицировать умерших на этой вечеринке людей на основании того, что вспомнил, где все эти люди сидели во время застолья. Для техники локи: Имеет значение выбор тех мест, которые расположены на хорошо известном пути; соединение воображаемых изображений в определенной последовательности, связывая их с различными местами; при воспроизведении информации пройти подсознательно путь от начала до конца и связать воображаемые изображения с конкретными местами.

Ключевые слова:

Мнемотехника, метод локи, иностранные слова.

იტალიური ჟარგონი (ჯერგო) როგორც ენობრივ-სოციალური მოვლენა და მისი თანამედროვე კონცეფციები

ნიკოლოზ ესაკია
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ი.ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,
საქართველო
ტელ.: 577 200 105
E-mail: nikaesakia@yahoo.com

რეზიუმე

სტატია ეხება იტალიური ჟარგონის ანუ ჯერგოს კვლევას ქართულ სინამდვილეში. ჯერგო ისეთ ფილოლოგიურ და სოციალურ მეცნიერებათა კვლევის საგანია, როგორებიცაა სტილისტიკა, სოციოლოგია და სოციოლინგვისტიკა. სტილიტიკის თვალსაზრისით იგი განეკუთვნება სასაუბრო სტილს, მის ფამილარულ-სასაუბრო სახეობას. ჯერგო, ერთი მხრივ ლინგვისტური, მეორე მხრივ კი სოციალური მოვლენაა. ჯერგოზე მოსაუბრე სხვებივით არ საუბრობს. მისი საუბრის მანერით მაშინვე ხდება მისი იდენტიფიცირება. ჩვენი სტატიის მიზანია განვიხილოთ იტალიური ჯერგო თანამედროვე ლინგვისტური კონცეფციების თვალსაზრისით და განვსაზღვროთ, თუ რა ადგილი უჭირავს მას თანამედროვე იტალიელთა ცხოვრებაში.

საკვანძო სიტყვები:

ჯერგო, ახალგაზრდული მეტყველება, სოციალური დიალექტი, საიდუმლო ენა, მარგინალი.

შესავალი

ჟარგონი, ინგლისურად *slang*, ფრანგულად *argot*, წარმოადგენს ტერმინს, რომელიც ჩვეულებრივ ენის სახესხვაობის განსაზღვრისათვის გამოიყენება, რომელზეც ადა-

მიანთა კონკრეტული ჯგუფები საუბრობენ. ჟარგონების წარმოქმნა პრაქტიკული მოთხოვნების შედეგია, რაც ენობრივი განცალკევებისაკენ მიდრეკილებაში მჟღავნდება.

იტალიურად ამ ენას *gergo* ჰქვია. ფაუსტო რაზოს [რაზო 2009: 1] აზრით, ბევრ ადამიანს ჯერგო სოციალურ დიალექტში ერევა. მათ მიანიათ, რომ ისინი ერთმანეთის სინონიმებია. მაგრამ ეს ასე არ არის. ორივე ტერმინი ენის საკუთრებაა. ეტიმოლოგიური თვალსაზრისით ტერმინი ჯერგო, იტალიური წარმოშობის არაა, იგი ძველი ფრანგულიდან მოდის *jergon* ან *jargon* და ნიშნავს ჩიტების ენას, ანუ „გაუგებარ მეტყველებას“. იტალიურად ჯერგო „პირობითი ენაა“, რომელსაც ვიწრო სოციალური გამოყენება აქვს. იგი ხელოვნური ენაა.

არსებობს ბიუროკრატიული, დიპლომატიური, ჟურნალისტური, რადიოტელევიზიის, პროფკავშირული, სასამართლო და სხვა სფეროს ჟარგონები, ანუ ჯერგო. ყოველ მეცნიერებას, ყოველ დისციპლინას თავისი ჟარგონი აქვს, რომელიც იმისათვისაა შექმნილი, რომ სხვებისთვის გაუგებარი იყოს.

ძირითადი ნაწილი

ჟარგონი საიდუმლო ენის მნიშვნელობით არსებობდა ყველა დროს, ყველა ქვეყანაში. იმ კლასებმა, რომლებიც საზოგადოების გარეთ ცხოვრობდნენ, იგრძნეს ის აუცილებლობა, რომ შეექმნათ სპეციალური, საიდუმლო და პირობითი ჟარგონი, რომელიც მისახვედრი უნდა ყოფილიყო მხოლოდ მასზე მოლაპარაკეთათვის.

ეგვიპტეში მღვდლებს საიდუმლო ენა ჰქონდათ. რომში პლებებს, მონებს თავიან-

თი ჟარგონი ჰქონდათ, რომლებმაც ხალხურ ლათინურსა და შუა საუკუნეების იტალიურს დასაბამი მისცა. *Sordida verba*-დაწვევლილი სიტყვა, ვხვდებით ლათინელ გრამატიკოსებთან. ეჭვარეშაა, რომ ეს ჟარგონული სიტყვებია. „ევროპის და აზიის ხალხებს, მომთაბარე ტომებიდან დაწვეული, ბოშებითა და ინდოეთის ტომებით დამთავრებული, თავიანთი ჟარგონი ჰქონდათ. ინგლისში იგი არსებობს სლენგის სახელწოდებით, საფრანგეთში არგოს უწოდებენ, გერმანიაში როტველშს, ესპანეთში ქსერიგონს, პორტუგალიელები კალაოს, ჰოლანდიელები ბარგონს, ბოშები ჰანტირკას, ინდოელები ბალაიბალანს, ჩინელები კი ჰიანჩიანს. ამერიკაში იგი ბოშებმა შეიტანეს და ზინგარის სახელწოდებითაა ცნობილი“ [ჯაში 1999:163].

საფრანგეთში იგი გვხვდება XV საუკუნის ტექსტებში. ამიტომ XV საუკუნე ითვლება მისი წარმოშობის თარიღად. ფრანგი მეცნიერი ვიტუ ხაზს უსვამს, რომ ორგანიზებული ბანდები წინა საუკუნეებში არ არსებობდნენ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათხოვრები, ქურდები და მკვლელები არ არსებობდნენ XV საუკუნემდე საფრანგეთში. ისინი ყოველთვის არსებობდნენ, მაგრამ დამოუკიდებლად მოქმედებდნენ. მათ არც რაიმე ენა ჰქონდათ, რომელზეც ისინი შეძლებდნენ საუბარს. ასეთი ენა, ჟარგონი, მოგვიანებით გაჩნდა. სწორედ ასწლიანი ომის დროს, ისტორიკოს ვიტუს თქმით, გაჩნდა სახიფათო კლასები. ინგლისის წინააღმდეგ ასწლიანმა ომმა ქვეყანა მთლიანად დააქცია და საზოგადოება დაშალა. გლეხები აღმოჩნდნენ უკიდურეს გაჭირვებაში და გადაიქცნენ ქურდებად და ბანდიტებად. მათ შეუერთდნენ მაროდირი ჯარისკაცები და დეზერტირები, დამნაშავენი, თაღლითები, მენესტრელები, ჟონგლიორები, დეკლასირებულნი, მოსწავლეები და კლერკები, რომლებიც უნივერსიტეტიდან და ეკლესიიდან იქნენ გაძევებულნი. ერთი სიტყვით, გაჩნდა მთელი ბანდა. მათ შექმნეს ორგანიზაცია თავისი მეთაურით და საკუთარი

ენით, რომელსაც ისინი ერთმანეთთან ურთიერთობის დროს იყენებდნენ. ენა, რომელიც სხვებისათვის გაუგებარი რჩებოდა [ვიდოკი 1973:34].

ჯერგოს ოფიციალური წარმოშობის პერიოდი იწყება შუა საუკუნეებში. მისი წარმოშობის მიზეზები იყო მაწანწალობა და ბანდიტიზმი, რომლებიც იმ პერიოდში განსაკუთრებით გავრცელებული იყო იტალიაში ისევე, როგორც საფრანგეთში. ჯერგოს შექმნის მიზანი ის იყო, რომ მოეხდინათ ენის კოდიფიკაცია. ამ მოვლენამ გასაიდუმლოებული ენის სტატუსი მიიღო. იტალიაში XV საუკუნის ბოლოს შეიქმნა მიმდინარეობა, რომელიც მიმართული იყო ჯერგოს მოვლენის წინააღმდეგ, რომელიც ერთდროულად ენობრივ და სოციალურ მოვლენას წარმოადგენდა. გამოქვეყნდა სპეციალური წიგნები, რომლებიც ასახავდა ამ მარგინალური ჯგუფების ცხოვრების წესს და მათ მიერ კანონის დარღვევას.

სიტყვა ჯერგო მომდინარეობს იტალიური სიტყვიდან *gergone*, მოგვიანებით მას უწოდეს *baccaglio*, *giamuffa*, რაც „მწარეს“ ნიშნავს, რაც სავარაუდოდ ფრანგული სიტყვიდან *jargon*, *argot* იღებს სათავეს.

კ. სანასათვის [სანა 1978:156], ჯერგო ადამიანთა იმ მარგინალურ სოციალურ ფენათა ენაა, რომლებიც არ მუშაობენ, ანუ არანაირ პროდუქტს არ ქმნიან. ადამიანთა ის წრეა, რომელიც პარაზიტულ ცხოვრებას ეწევა და დროდადრო მისი შემადგენლობა იცვლება მოთხოვნებისა და მიხედვით. ესენია: მათხოვრები, მაწანწალები, ქურდები. უმეტესწილად ეს ის ხალხია, ვისაც არა აქვს საცხოვრებელი, მათი ადგილსამყოფელი ცვალებადია, იცვლიან რეგიონებს, რომლებშიც «მოღვაწეობენ», ეწევიან მომთაბარე ცხოვრებას.

ო. ლურატი [ლურატი 1990:221] ამტკიცებს, რომ იტალია მდიდარია ტერიტორიული დიალექტებით და ხშირად დაპარაკობენ რომელიმე დიალექტზე, რომ სხვამ არ გაიგოს მათი საუბარი, მაგრამ ჟარგონი სხვა რამეა,

რადგან იგი წარმოადგენს «ენას და ერთგვარ ხრიკს». ჟარგონი დიალექტისაგან განსხვავებით არ არის საერთო ეროვნული ენისაგან სრულიად დამოუკიდებელი, რადგანაც სისტემატურად იყენებს მის ლექსიკურ მარაგს, გრამატიკულ სტრუქტურებს და ა.შ. ენის ისტორია აგრეთვე ჯერგოს ისტორიაც არის, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოიყენება. იგი შეიძლება წერილობით ფორმაში გადავიდეს, შედის ზოგიერთ ლიტერატურულ ჟანრში.

ჯერგოს გამოყენებით განსაკუთრებით გამოირჩევიან ახალგაზრდები, პოლიტიკოსები, სამხედროები და განსაკუთრებით კრიმინალური ჯგუფები, რომელთა კონკრეტულ მიზანს შეტყობინების კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა წარმოადგენს. მაშასადამე, გამოიყენოს მეტაფორული გამოთქმები. მაგალითად: palo-თანამზრახველი, cantare-აღსარება, dritta -ზუსტი ინფორმაცია, lecchino-ლაქუცა, tosto-მაგარი, imbranato-მოუქნელი, sputtanare -სახელის გატეხა, sfiga - მარცხი, arrappare - ადგზნება, gufare - გათვალვა.

ძველი თაობის წარმომადგენლები იხსენებენ მეორე მსოფლიო ომის დროს წარმოქმნილ ჟარგონულ სიტყვებს. მაგალითად: vilino-ლორი, roba nera- ყავა, tabacco chinato-პაპიროსის ნამწვი, რომელსაც მიწიდან იღებდნენ, roba bianca ნიშნავდა „ფქვილს, შაქარს, კარაქს“.

დღეს შეიძლება შეგვხდეს შემდეგი ტიპის ახალგაზრდული ჟარგონები: care salme-მშობლები, gigia-დეიდა, caricone –მასწავლებელი, რომელიც მოსწავლეებს ბევრ დავალებას აძლევს, carica-დედა, secondino-ცოლი, lui-მამა, gong-სკოლაში შესვენება და მრავალი სხვა სიტყვა, რომლებიც დავიწყებას მიეცა.

საუბრისას ახალგაზრდები იყენებენ გარკვეულ სიტყვებს, რომელთა გაგებაც არ არის შეუძლებელი. ზოგჯერ, ისინი ენაში არსებულ სიტყვებს სხვა მნიშვნელობით იყენებენ. ახალგაზრდები ხშირად საუბრობენ მინიშნებით, ანუ იყენებენ ჩვეულებრივ სიტყვებს, რომელთა საიდუმლო მნიშვნელობა ზედაპირზე არ ჩანს. ხშირად ადგილი აქვს მეტაფორებს

ან მეტაფორულ სიმბოლოებს. მაგალითად: paglia- სიგარეტი, darsi una punta-პაემანის დანიშვნა, che Bongata-ბედი მწყალობს. ახალგაზრდები ხშირად იყენებენ ტერმინებს, რომლებიც ტაბუდადებულია საზოგადოებაში. ეს ტერმინები დაკავშირებულია სექსთან, ნარკოტიკებთან, რომლებსაც „მაგარი“ ბიჭების წრე და კრიმინალები იყენებენ. ის ახალგაზრდები, რომლებიც საუბრისას ჟარგონებს იყენებენ, ცდილობენ „კარგად მოსაუბრე და კარგად მწერ“ benparlanti და benscriventi გაუგებნიან წრეებს ჩამოსცილდნენ. საერთო ენას თავისი წვლილი შეაქვს ამგვარი ჯგუფების ფორმირებაში. ამასთან საჭიროა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდების ჯგუფების ჯერგოს სტილისტური შეფერილობა ახასიათებს და მასში ხშირად რეგიონალური წარმოშობის სიტყვები და გამოთქმები გამოიყენება. მაგალითად, რომის ახალგაზრდობის მეტყველება მილანის ახალგაზრდობის მეტყველებისაგან განსხვავდება. ისინი ხშირად ფრანგულში გამოყენებული ვერლანის მსგავსს ფორმებს იყენებენ. ვერლანი კი მარცვალთა გადაადგილებას ნიშნავს. მაგალითად: სიტყვა sbirro ნიშნავს პოლიციელს, მისი ვერლანიზებული ფორმა იქნება rosbì. სიტყვები, რომლებიც იწყება თანხმოვნებით c, ch, ჩანაცვლებულია ასოთი K. სიტყვაში perché-რატომ, კოდის სახით per ჩანაცვლებულია x-ით და ვიღებთ xché, xké. ხდება მთელი წინდადების აკრონიმიზაცია. მაგალითად: TVB-ti voglio bene, ნიშნავს „მიყვარხარ“. ენები გამოიყენება ადამიანის მოღვაწეობის განსაზღვრულ სფეროებში. იტალიურ ენაში გამოიყოფა ასეთი ჯერგოს რამდენიმე ჯგუფი: 1.სტუდენტური ჯერგო; 2. ყაზარმის ჯერგო; 3.თეატრალური ჯერგო; 4.კინოს ჯერგო; 5.ტელევიზიის ჯერგო; 6.ჟურნალისტური ჯერგო; 7.სპორტული ჯერგო; 8. ტიპოგრაფიული ჯერგო; 9.ინდუსტრიასთან დაკავშირებული ჯერგო; 10.ვაჭრობასთან დაკავშირებული ჯერგო.

XX საუკუნეში სახელმწიფოში დამნაშავეთა ჯგუფების თანდათანობითი ინტეგრაცია

ციის მოწმენი გავხდით. ეს ეხება მაფიის ფენომენს, რომელმაც დასაბამი მისცა ქარგონულ მეტყველებას. ე. ფერერო [ფერერო 1991:4] გვახსენებს ტერმინს mafiese, რაც სიტყვის mafiosa-ს ენობრივი სახეობა იყო, რომელიც მთელ მსოფლიოში სახელმწიფო დონეზე გამოიყენებოდა და ახლა არ ითვლება ქარგონად, რადგანაც აღარ წარმოადგენს საიდუმლოებას. მაფიის ქარგონების ერთადერთი მიზანია მნიშვნელობის გასაიდუმლოება. ამ ჯერგოში შემავალი სიტყვები პერმეტული, კომპაქტური და სტაბილურია. მაგალითად, სიტყვას uccidere-მოკვლა აქვს უამრავი სინონიმი. ესენია: astutàri ნიშნავს ლიტერატურულ ენაში „ჩახშობას, ჩაქრობას“; attumulài-დამარხვა; ncasciàri-კუბოში ჩაკეტვა; addumniisciri-მიძინება; aggiuccàri- გაღუნვა; asciucàri-გამშრალება. კრიმინალურ ჯერგოს მიაკუთვნებს რეგიონალური წარმოშობის ბევრი სიტყვა. მაგალითად: caramba -კარაბინერი; pula-პოლიცია; buiosa-საკანი; scapuzzador-მკვლეელი; ruffante-ჯობის ქურდი; casché-წვრილი ქურდობა; cravattaro-მევახშე; berta -პისტოლეტი.

ქარგონები, რომლითაც იტალიური ენა მდიდარია, ძალიან გამომხატველობითია ზეპირი ფორმით კომუნიკაციის დროს. ხშირად მათგან ვითარდება პოპულარული ანდაზები და ფორმულები, რომლებიც მარგინალური ჯგუფების ცხოვრების მახვილგონიერებას გამოხატავს. ჯერგო ემსახურება ყველაფერს, ბგერის გამდიდრებას, რადგანაც კოდების ენას ყოველთვის არ შეუძლია დააკმაყოფილოს საკომუნიკაციო ინტენციის ყველა ნიუანსი, გამოხატოს ზოგჯერ ეფემერულ კოდში დამუშავებული და დაბინძურებული ფორმები, რასაც ხშირად სალიტერატურო საერთო ხალხური ენა აწყდება დროთა განმავლობაში. ჯერგო ყოველთვის წარმოადგენს სპეციალურ მკვეთრად გამოხატულ მეტყველებას, რომელსაც ორი ძირითადი მახასიათებელი აქვს: 1) ჰქონდეს ისეთი თვისება, რომლითაც ის ამა თუ იმ ჯგუფს განეკუთვნება; 2) არ უნდა იყოს ადვილად გასაგები იმათთვის, ვინც ამ ჯგუფის მიღმაა.

ახალგაზრდული ქარგონების სახეობაა „parlare snob“-სნობური მეტყველება ეწოდება. იგი დამახასიათებელი იყო 50-იანი წლების მილანელებისათვის. XX საუკუნის 60-იან წლებში ჯერგო ფართოდ იკიდებს ფეხს პოლიტიკურ, მუსიკალურ და გასართობ წრეებში. იტალიაში გაჩნდა „ფარული“ ქარგონული ლიტერატურის ფენომენი. ამ მხრივ აღსანიშნავია 70-იანი წლების სექსუალური ჯერგო მარკო ლომბარდოსა და ლიდია რავერას წიგნში „Porci con le ali“ – „ფრთიანი ღორები“. ასევე აღნიშვნის ღირსია ჯანი სერასა და ტომზო შემანის ფილმი, რომელშიც პანკის ქარგონებია შესული „La ragazza di via Millelire“ - „მიღელირეს ქუჩის გოგო“.

ხშირია შემთხვევები, როდესაც ბევრი ქარგონული სიტყვა ან გამოთქმა ვრცელდება საერთო ეროვნულ ენაში კინო-ფილმებით, სიმღერებით, გაზეთებით და ამგვარად, თავის მუდმივ ადგილს იმკვიდრებს საერთო იტალიურ ლექსიკაში. მაგალითად: pivello-ყმაწვილი; strizza-შიში; grana-ფული; frana-მოუქნელი. ქარგონების მიზანია დატვირთვის ენის გამომსახველობითი ძალა, რის გამოც ხშირად ხდება სიტყვების მეტაფორიზაცია. მაგალითად: pinguino-გულგრილი; vescicone-მსუქანი; trip-ნარკოტიკული საშუალება; inzurlida-სულელი; poser-თვალთმაქცი. ახალგაზრდულ ჯერგოში გამოიყენება ისეთი სიტყვები, რომლებიც ნაცნობია უფროსებისათვის, მაგრამ მას სხვა მნიშვნელობით იყენებენ. ეს სიტყვები სწრაფად იცვლება, მაგრამ თაობებში ტოვებს სახასიათო ნიშანს. ბევრი სიტყვა შემოდის რეკლამებიდან, ფილმებიდან, როკის, რეპის მეშვეობით, დიდია ამერიკული ინგლისურის ზეგავლენა.

დასკვნა

ჯერგოს ფართო გამოყენება აქვს ახალგაზრდებში. იტალიურში ხშირად გვხვდება ტერმინები და გამოთქმები, რომლებიც მომდინარეობს პირდაპირ ქუჩიდან, ბარებიდან, სხვადასხვა წრეებიდან, დისკოთეკებიდან.

ბევრი ჟარგონი თვით სკოლებშიც კი აღწევს. ზოგიერთი სიტყვა წინა თაობების დროინდელი დიალექტებიდან სიტყვების აღდგენას წარმოადგენს. შეიძლება გაგვაოცოს იმ ფაქტმა, თუ როგორ ამხსინჯებენ ახალგაზრდები იტალიურ ენას. ისინი ერთმანეთში უმოწყალოდ ურევენ ყველაფერს, რის შედეგადაც ვიღებთ საბოლოო პროდუქტს, რომელიც ერთგვარ ნახავს წარმოადგენს, და რაც მთავარია, მთლიანად ეწინააღმდეგება იტალიური პურისტების შესხედულებას.

ლიტერატურა

1. Ferrero E. (1998): Dizionario storico dei gerghi italiani. Dal Quattrocento a oggi. Milano: Mondadori
2. Lurati O. (1990): Quale l'ideologia degli ambulanti? Il gergo dei magnani lombardi con una Città di Lugano. Locarno: Dadò
3. Raso F. (2009): Gergo e dialetto, in La strada web-magazine. https://www.lastradaweb.it/article.php?id_article=3816
4. Sanna C. (1978): Il gergo della camorra, Palermo: Il Vespro Editore
5. Vidocq E.- F. (1973): Les voleurs, physiologie de leurs mœurs et de leur langage. Paris : France-expansion
6. ჯაში ქ. (1999): არგო საფრანგეთის სოციალურ ისტორიაში, „ენა, თარგმანი და ლიტერატურა“, თბილისი: ენა და კულტურა

Итальянский жаргон как социолингвистический феномен и его современные концепции

Эсакия Николай Малхазович

Тбилисский государственный университет

Факультет гуманитарных наук

Пр. И. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси,

Грузия

Тел: 577 200 105

E-mail: nikaesakia@yahoo.com

Резюме

Статья касается изучения итальянского сленга в контексте грузинской реальности. Итальянский жаргон или джерго является предметом изучения таких филологических и социальных наук, как стилистика, социология и социолингвистика. Со стилистической точки зрения, жаргон является частью разговорного языка. С одной стороны, это лингвистическое явление, с другой стороны, это социальное явление. Тот, кто говорит на жаргоне, он не похож на других, мы можем сразу идентифицировать его в соответствии с его манерой говорить. Целью нашей статьи является анализ итальянского жаргона в соответствии с современными концепциями и определение его роли в жизни современных итальянцев.

Ключевые слова:

жаргон, молодежный язык, социальный диалект, секретный язык, маргинал.

Italian Slang as a Sociolinguistic Phenomenon and Its Contemporary Conceptions

Nikoloz Esakia

Tbilisi State University

Humanitarian science faculty

36, I.Chavchavadze av., 0179, Tbilisi, Georgia

Tel: 577 200 105

E-mail: nikaesakia@yahoo.com

Abstract

This article concerns the study of Italian slang in the context of Georgian reality. The Italian slang or gergo is the subject of studies of such philological and social sciences as Stylistics, Sociology and Sociolinguistics. From a stylistic point of view, the slang is part of spoken language. On the one hand, it is a linguistic phenomenon, on the other hand, it is a social phenomenon. The one who speaks slang or gergo, he does not resemble others, we can identify him immediately according to his way of speaking. The aim of this article is to analyse Italian slang according to contemporary conceptions and define its role in the life of modern Italians.

Keywords:

slang, youth language, social dialect, secret language, marginal.

The Concept of Schema and Types of Schemata in Cognitive Stylistics

Marina Zoranyan

Georgian Technical University

Department of Foreign Languages

77, Kostava str., 0175, Tbilisi, Georgia

Tel. : 593 783 826

E-mail: marinaziger@gmail.com

Abstract

The article views the concept of schema in cognitive stylistics. Cognitive stylistics is an advanced field on the crossroads of linguistics, cognitive science and literary studies. Cognitive stylistics concentrates first of all on the hypothesis about what happens during the reading process and how this influences the readers' text interpretation. Schema theory is one of the major theories of cognitive stylistics. It explains the active role of readers in text interpretation. The word schema (pl. schemata) comes from the Greek word σχήμα (skhēma), which means shape, or more generally, plan. Schema theory states that all knowledge is organized in brain into units. Within these units of knowledge, or schemata, information is stored. A schema, then, is a general knowledge structure used for understanding. It is how knowledge is represented in brain and how it is used.

Keywords:

schema theory, schema, background knowledge, cognitive stylistics, content schemata, formal schemata, linguistic schemata.

Introduction

Cognitive stylistics is an advanced field on the crossroads of linguistics, cognitive science and literary studies that presupposes the integration of linguistic analysis with key cognitive theories: schema theory, cognitive metaphor theory, the notion of figure and ground [Stockwell 2002; Semino 2002; Semino & Culpeper 2002; Gavins & Steen 2003; et

al.] Cognitive stylistics concentrates first of all on the hypothesis about what happens during the reading process and how this influences the readers' text interpretation. It proceeds on the assumption that reading is an active process and that readers consequently play an active role in constructing the meaning of texts. "Meaning is not located solely in the formal structures of the text but is, in a sense, achieved as a result of readers utilizing aspects of their pre-existing background knowledge of the real world as they read." [Jeffries & McIntyre 2010: 127].

Main Body

Schema theory is one of the major theories of cognitive stylistics. It explains the active role of readers in text interpretation. Schema theory assumes that readers' schemata or their background knowledge helps them in text comprehension.

The word schema (pl. schemata) comes from the Greek word "σχήμα" (skhēma), which means shape, or more generally, plan. The notion of a schema was suggested in 1781 by the German philosopher Kant in his epochal work *The Critique of Pure Reason* (2018). He proposed that concepts could have meaning only when they were related to something the individual already knew, i.e. the individual possesses general concepts to which he relates more specific concepts.

The origins of modern schema theory as it has been used for the analysis of literature lie in Gestalt psychology of the 1920s and 1930s. Barlett (1932) was the first to use the term "schema" in psychology. He describes a schema as "an active organisation of past reactions, or of past experiences, which must always be supposed to be operating in any well-adapted organic response." (1932: 201) It means that, whenever there is any order or regularity of behaviour, a particular response is possible only because it

is related to other similar responses which have been serially organized, yet which operate, not simply as individual members coming one after another, but as a unitary mass.

Reason (1990: 25) points to three fundamental aspects of schemata emphasized by Barlett: a) they are unconscious mental structures (“the schemata are active, without any awareness at all”), b) they are composed of old knowledge (they are “masses of organized past experiences”), and c) long-term memory comprises active knowledge structures rather than passive images. Thus, schemata reconstruct rather than reproduce past experiences.

Swiss psychologist Piaget (1936) was the first who made a systematic study of cognitive development. His theory of cognitive development explains how a child constructs a mental model of the world. According to Piaget (*ibid.*), children are born with a very basic mental structure (genetically inherited and evolved) on which all subsequent learning and knowledge are based.

Piaget used the term schema to understand the interaction of key factors affecting the comprehension process. He defined a schema as: “a cohesive, repeatable action sequence possessing component actions that are tightly interconnected and governed by a core meaning.” (1952: 7) To put it simply the schema is the basic building block of intelligent behavior – a way of organizing human knowledge.

Rumelhart (1980: 34) calls a schema “a data structure for representing the generic concepts stored in memory. There are schemata representing our knowledge about all concepts: those underlying objects, situations, events, sequences of events, actions and sequences of actions. A schema contains, as a part of its specification, the network of interrelations that is believed to normally hold among the constituents of the concept in question”.

Schema theory states that all knowledge is organized in brain into units. Within these units of knowledge, or schemata, information is stored. A schema, then, is “a general knowledge structure used for understanding” [Medin & Russ, 1992: 246]. It is

how knowledge is represented in brain and how it is used. According to this theory, schemata represent knowledge about concepts: objects and the relationships they have with other objects, situations, events, sequences of events, actions, and sequences of actions.

Schemata help us make sense of the world by allowing the retrieval of the exact type of stored information pertaining to each particular situation. [Nørgaard, Montoro & Busse, 2010: 148] To illustrate what is meant by a schema, let us consider Schank & Abelson's (1977) classic example of the “restaurant” schema. In this general schema there are certain components of the meaning that are common for all members of the class - i.e., such general information as that a restaurant is a commercial institution where people pay money to have someone cook their food and clean up after them. We understand that going to the restaurant involves elements such as choosing a particular place, sitting down and ordering from a set menu, having the food brought to our table, eating it and finally paying for this service before leaving. At the same time we know that in classical understanding of the restaurant schema we do not have to pay before eating. In case we decide to eat out in a fast-food restaurant we will totally alter the original sequence of actions as we are asked to pay for our order in advance. Similarly, self-service places are characterized for the lack of people waiting tables, and take-away establishments by the fact that the food will be consumed outside the premises. In the restaurant hierarchy there are more specific schemata, for sit-down restaurants, another for ethnic restaurants, dinner-theaters, and so on. In the hierarchy of ethnic restaurants, for instance, one might find Italian, Greek, Chinese, Mexican restaurant schemata.

“The process of interpretation, according to schema theory, is guided by the principle that every input is mapped against some schema and that all aspects of that schema must be compatible with the input information. This principle results in two basic modes of information processing, called bottom-up and

top-down processing.” [Carrell 1983: 4] Bottom-up processing is data-driven. Top-down processing is conceptually-driven.

According to the nature of content, three basic types of schemata have been differentiated: content, formal and linguistic. Content schema refers to "background knowledge of the content area of the text" [Carrell & Eisterhold, 1983: 80]. It contains conceptual knowledge or information about what usually happens within a certain topic, and how these happenings relate to each other to form a coherent whole. Content schema comprises of the readers' pre-existed knowledge of the world [Anderson, Picher, & Shirey, 1983] or embodies readers' knowledge about the topic presented in the written text [James, 1987]. Information about the topic, cultural familiarity and readers' previous knowledge related to the field constitutes the basis of content schemata. All these factors facilitate the readers to understand the written texts.

Formal schemata have been defined as organizational forms and rhetorical structures of a written text [Carrell & Eisterhold, 1983]. A formal schema refers to "background knowledge of the formal, rhetorical organizational structures of different types of texts" (ibid.: 560). In other words deals with background knowledge of discourse forms (rhetorical forms such as myths, narrative, poetry, descriptive accounts, expository writing, research reports, etc.). Different kinds of texts and discourse (e.g. stories, description, letters, reports, poems) are distinguished by the ways in which the topic, propositions, and other information are linked together to form a unit. This underlying structure is known as formal schemata.

Linguistic schema refers to the knowledge about vocabulary and grammar. Linguistic schemata play an important role in decoding and understanding of a written text. Eskey (1988: 94) claims that "good readers are both decoders and interpreters of texts, their decoding skills becoming more automatic but no less important as their reading skill develops". This is because that "Language is major problem

in second language reading, and that even educated guessing at meaning is no substitute for accurate decoding" (ibid.: 97). In other words, successful comprehension of any text is impossible without effective decoding skills.

Linguistic schema deals with the skills and knowledge needed for accurate decoding of the linguistic units of a text: grammar, syntax, vocabulary, and its discourse types. It uses bottom up processing because it is tied to the details of the text. There is some overlap between formal schema and linguistic schema, since discourse types are subsumed under both. Discourse types present rhetorical formats (top-down processing), and are also integral to how a text is read (bottom-up processing).

Conclusion

A schema is a high-level conceptual structure, "an active organization of past reactions, or of past experiences" [Barlett, 1932: 201] that helps us to interpret new situations. Schema theory deals with the role of background knowledge (schemata) in text comprehension. According to schema theory, text comprehension is an interactive process between the reader's background knowledge and the text. Explaining the active role of readers in the interpretation of texts, schema theory suggests that readers make extensive use of pre-existing world knowledge to make the processes of communication and interpretation efficient.

Literature

1. Anderson R. C., Pichert J. W., & Shirey L. L. (1983): Effects of the reader's schema at different points in time. *Journal of Educational Psychology*, 75(2), 271-279. Retrieved February 21, 2019 from <http://dx.doi.org/10.1037/0022-0663.75.2.271>
2. Bartlett F. C. (1932): *Remembering: A study in experimental and social psychology*. New York, NY, US: Cambridge University Press

3. Carrell P., L. (1983): Schema Theory and Language Comprehension. Retrieved February 21, 2019 from https://scholarspace.manoa.hawaii.edu/bitstream/10125/38551/1/Carrell%20281983%29_WP2%281%29.pdf
4. Carrell P., & Eisterhold, J. (1983): Schema theory and ESL reading. TESOL Quarterly, 17, 553-573. Retrieved February 21, 2019 from <https://doi.org/10.2307/3586613>
5. Eskey D.E. (1988): "Holding in the Bottom: An Interactive Approach to the Language Problems of Second Language Readers." In P. Carrell, J. Devine, & D. Eskey (Eds.), Interactive Approaches to Second Language Reading (pp. 93-100). Cambridge, UK: Cambridge UP
6. Gavins J. and G.J. Steen. (2003): Cognitive Poetics in Practice. London: Routledge
7. Jeffries L. & McIntyre D. (2010): Stylistics. Cambridge University Press, 242 p.
8. Kant I. (2018): Critique of Pure Reason. Copenhagen: Cosmopolitan
9. Medin D., L. & Ross B., H. (1992): Cognitive psychology. 2nd edition. Fort Worth, TX: Harcourt Brace Jovanovich
10. Nørgaard N., Montoro R., & Busse, B. (2010): Key Terms in Stylistics. New York: Continuum International Publishing Group
11. Piaget J. (1936): Origins of intelligence in the child. London: Routledge & Kegan Paul
12. Piaget J., & Cook M. T. (1952): The origins of intelligence in children. New York, NY: International University Press
13. Reason J. (1990): Human Error. USA: Cambridge University Press
14. Rumelhart D., E. (1980): Schemata: The building blocks of cognition. In R. J. Spiro, B. Bruce and W. Brewer (eds), Theoretical Issues in Reading Comprehension: Perspectives from Cognitive Psychology, Linguistics, Artificial Intelligence and Education. Hillsdale, New Jersey: Lawrence Erlbaum Associates, pp. 33–58.
15. Schank R., C. & Abelson R., P. (1977): Scripts, plans, goals and understanding, an inquiry into human knowledge structures. Hillsdale: Lawrence Erlbaum Associates
16. Semino E. (2002): A cognitive stylistic approach to mind style in narrative fiction. In E. Semino & J. Culpeper, Cognitive Stylistics: Language and Cognition in Text Analysis. Amsterdam/Philadelphia: John Benjamins Publishing Company, 95-122
17. Semino E. & J., V. Culpeper. (2002): Cognitive stylistics: Language and Cognition in Text Analysis (eds.). Amsterdam/Philadelphia: John Benjamins Publishing Company
18. Stockwell P. (2002): Cognitive Poetics. London: Routledge

Понятие схемы и типы схем в когнитивной стилистике

*Зораян Марина Георгиевна
Грузинский технический университет
Департамент иностранных языков
Ул. Костава №77, 0175, Тбилиси, Грузия
Тел.: 593 783 826
E-mail: marinaziger@gmail.com*

Резюме

Статья посвящена понятию схемы и типам схем в когнитивной стилистике. Когнитивная стилистика является передовой областью на стыке лингвистики, когнитивной науки и литературоведения. Когнитивная стилистика концентрируется прежде всего на гипотезе о том, что происходит во время процесса чтения и как это влияет на интерпретацию текста читателями. Теория схемы является одной из основных теорий когнитивной стилистики. Она объясняет активную роль читателей в интерпретации текста. Слово «схема» происходит от греческого слова «σχῆμα» (skhēma), что означает форму или, в более общем смысле, план. Теория схемы утверждает, что все знания организованы в мозге в виде блоков. Внутри этих блоков знаний или схем хранится информация. Таким образом, схема - это общая структура знаний, используемая для понимания.

Это то, как знания представлены в нашем мозге и как они используются.

Ключевые слова:

теория схемы, схема, фоновое знание, когнитивная стилистика, содержательные схемы, формальные схемы, лингвистические схемы.

**სქემის ცნება და სქემების ტიპები
კოგნიტურ სტილისტიკაში**

მარინა ზორანიანი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უცხოური ენების დეპარტამენტი

კოსტავას ქ. №77, 0175, თბილისი,

საქართველო

ტელ.: 593 783 826

E-mail: marinaziger@gmail.com

რეზიუმე

სტატია იხილავს სქემის ცნებას და სქემების ტიპებს კოგნიტურ სტილისტიკაში. კოგნიტური სტილისტიკა არის მოწინავე დარგი ლინგვისტიკის, კოგნიტური მეცნიე-

რებისა და ლიტერატურული კვლევების მიჯნაზე. კოგნიტური სტილისტიკა ყურადღებას ამახვილებს, პირველ რიგში, ჰიპოთეზაზე იმის შესახებ, თუ რა ხდება კითხვის დროს და რა გავლენა აქვს მას მკითხველთა მიერ ტექსტის ინტერპრეტაციაზე. სქემის თეორია კოგნიტური სტილისტიკის ერთ-ერთი მთავარი თეორიაა. ის ხსნის მკითხველთა აქტიურ როლს ტექსტის ინტერპრეტაციაში. სიტყვა “სქემა” წარმოიშვა ბერძნული სიტყვისგან “σχῆμα”, რომლის მნიშვნელობაც არის “ფორმა” ან უფრო ზოგადად “გეგმა”. სქემის თეორია ამტკიცებს, რომ ნებისმიერი ცოდნა ტვინში ორგანიზებულია ერთეულებში. ცოდნის ამ ერთეულებში ანუ სქემებში ინახება ინფორმაცია. მაშასადამე, სქემა არის ცოდნის ზოგადი სტრუქტურა, რომელიც გამოიყენება გამონათქვამის გაგებისათვის. ეს ის ხერხია, რომლის მიხედვითაც ცოდნა წარმოდგენილია ტვინში.

საკვანძო სიტყვები:

სქემის თეორია, სქემა, ფონური ცოდნა, კოგნიტური სტილისტიკა, შინაარსის სქემები, ფორმალური სქემები, ლინგვისტური სქემები.

ინგლისურ ენაში მოდალური ზმნის თავისებურებათა გააზრება მედიაწიგნიერების კონტექსტში

დომნა კარანაძე
საქართველოს უნივერსიტეტი
ევროპული ენებისა და ფილოლოგიის
დეპარტამენტი
კოსტავას ქ. №77ა, 0175, თბილისი,
საქართველო
ტელ: 577 958 613
E-mail: dodo.kara@yahoo.com

რეზიუმე

მედიასაშუალებებს აქვთ უნარი, ინფორმაცია მიაწოდონ მომხმარებელს მისი რწმენისა და პოლიტიკური შეხედულებების მიხედვით; გამოიყენონ იმგვარი ენობრივი სტილი, რომელიც წაახალისებს მედიააუდიტორიას, ინფორმაცია საკუთარი პრეფერენციებისამებრ აღიქვან. მედიაწიგნიერების ამოცანა ემსახურება სწორედ იმ უნარის განვითარებას, რაც ხელს შეუწყობს რეციპიენტის მიერ მასსმედიაში გავრცელებული ინფორმაციის სწორად აღქმასა და ანალიზს. ეს კი, თავის მხრივ, შესაძლებლობას აძლევს მას, ადეკვატურად განსაზღვროს მედიის მიკერძოების ან ცდომილების ხარისხი და გამოავლინოს ამ ქმედებისათვის დამახასიათებელი ნიშნები.

საკვანძო სიტყვები:

მედიაწიგნიერება, მოდალური ზმნა, მასსმედია, რეციპიენტი.

შესავალი

თანამედროვე ეტაპზე ძალზე მაღალია მედიასივრცეში საზოგადოების ჩართულობის ხარისხი. ამას განაპირობებს ის ფაქტი, რომ მედია ინფორმაციის მოპოვების ყველაზე სწრაფ და იაფ საშუალებად იქცა. ციფრული მედიის დახმარებით, მომხმარებელს ერთდროულად მედიის ორ ან მეტ განსხვავებულ ფორმასთან აქვს კომუნიკაცია. მას ეძლევა მნიშვნელოვანი შესაძლებლობა, გაიგოს, გაეცნოს და გამოიყენოს ინფორმაცია.

ხევის საინტერესოა იმის გამორკვევა, დღეში საშუალოდ რამდენ მედია საშუალებას იყენებს მომხმარებელი; რა გზავნილებს ვიღებთ და როგორ მოქმედებს ისინი ჩვენს აზროვნებაზე ან გადაწყვეტილებების მიღებაზე.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მედია უნდა გაიმიჯნოს მასობრივი საინფორმაციო საშუალებებისაგან. მედია არის საკომუნიკაციო საშუალება, რომელიც უკავშირდება ან გავლენას ახდენს განსაზღვრული რაოდენობის ადამიანებზე, ისეთი საშუალებებით, როგორებიცაა: რადიო, ტელევიზია, გაზეთები და ჟურნალები. მასსმედია ზუსტად იმავე ფუნქციის მატარებელია, თუმცა მის სამიზნეს ბევრად უფრო ფართო აუდიტორია წარმოადგენს. ორივე მათგანი დიდ როლს ასრულებს ჩვენს ცხოვრებაში.

თითოეულ ფაქტსა თუ მოვლენაზე ყოველდღიურად ზღვა ინფორმაცია გროვდება, ზოგჯერ სულაც ერთმანეთის გამომრიცხავი. მკითხველი იბნევა, ვერ გაურკვევია, რომელია მათ შორის სანდო. სწორედ ამ დროს იჩენს თავს მედიაწიგნიერების აუცილებლობა. ბუნებრივია, რადგან ამ ცნებაში მოიაზრება ფაქტებსა და მოვლენებში წვდომის, ანალიზის, შეფასებისა და შემოქმედების უნარი.

ჩვენი მცდელობაც ამ ფენომენს უკავშირდება. შესაბამისად, სტატიაში განვიხილავთ საზოგადოებისათვის მედიაწიგნიერების როლსა და მიზანს, როგორც წარსულში, ისე თანამედროვეობაში. აგხსნით და შევაფასებთ XXI საუკუნეში მედიის, მასობრივი საინფორმაციო კომუნიკაციები-

სა და მედიაწიგნიერების განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

მედიაწიგნიერება არ არის ახალი ფენომენი. 1400-იან წლებში, ბეჭდური პრესის გამოგონების შემდეგ, მედიამ მომხმარებლებს შორის კომუნიკაციის საშუალების სახე მიიღო. ინდუსტრიულ ეპოქაში გაზეთები და ჟურნალები წარმოადგენდნენ მედიას. ტექნოლოგიის მუდმივი განვითარება მედიის სულ უფრო მეტი არხებით გვამარაგებს. ინტერნეტის დახმარებით შეიქმნა ციფრული კომუნიკაციის საშუალებები: Facebook, Twitter, Instagram და essia დღითიდღე იზრდება.

ძირითადი ნაწილი

მასობრივი კომუნიკაციის ფუნქციები მრავალგვარია. იგი გამოიყენება სხვადასხვა მიზნისთვის: ინფორმაციის მოპოვებისთვის, გართობისთვის, დასარწმუნებელ საშუალებად და სწორად გაცნობიერებისთვის. მედიაწყაროებს აქვთ უნარი, მომხმარებელს ინფორმაცია მიაწოდონ მათი რწმენისა და პოლიტიკური შეხედულებების მიხედვით, გამოიყენონ ენის გრამატიკული, ლექსიკური თვისებები თუ სტილი, რაც ხელს შეუწყობს მკითხველს, ინფორმაცია უფრო ნათლად და საკუთარი შეხედულებისამებრ აღიქვან. მედიაწიგნიერების მიზანსაც სწორედ მასსმედიაში გავრცელებული ინფორმაციის მომხმარებლის მხრიდან სწორი ანალიზის უნარის განვითარება წარმოადგენს, რაც საკუთრივ მედიის მიკერძოების ან ცდომილების ხარისხის განსაზღვრასა და მისი დამახასიათებელი თვისებების გამოვლენას გულისხმობს.

გარდა ამისა, ჩვენი კვლევის მიზანია, გამოვავლინოთ ენობრივი მანიპულაციის ხერხები, რაც ინფორმაციის მიკერძოებულად გაშუქებას ისახავს მიზნად. ამ ვითარების გასაანალიზებლად განვიხილავთ ინგლისურ ენაში ხშირად გამოყენებულ, აზრის გამომხატველ მოდალურ ზმნებს და მათი

კონტრაციური (ასოცირებული ან მეორადი მნიშვნელობა) და დენოტაციური (პირდაპირი მნიშვნელობა) დონეების შედარებით გამოვავლენთ ენობრივი მანიპულაციის სპეციფიკას.

ინგლისურ ენაში მოსაზრების გამოსახატად გამოიყენება ისეთი მოდალური ზმნები, როგორცაა: can, could, will, would. მათი სწორად გამოყენებით შესაძლებელია, უფრო ზუსტად გადმოვცეთ და გამოვხატოთ ჩვენი გრძნობები კონკრეტულ სიტუაციაში. სხვადასხვა ტიპის მოდალურ ზმნებს განსხვავებული გრამატიკული თვისებები გააჩნია. ზმნის სახეობა, რომელიც აზრის გამომხატველ მოდალურ ზმნად არის წოდებული, იხმარება მხოლოდ მეორე ზმნასთან ერთად და გამოხატავს შესაძლებლობას ან რჩევას. ამგვარი ორი სახის მოდალური ზმნა არსებობს:

1. შესაძლებლობის გამომხატველი მოდალური ზმნები;

მაგალითად, როცა ვლაპარაკობთ ამინდზე, ვამბობთ: „there’s a 10 percent chance of rain tomorrow“, რაც ნიშნავს, რომ წვიმის მოსვლის შანსი 10 პროცენტს შეადგენს. შესაძლებლობის გამომხატველი ყველა მოდალური ზმნა არაა ერთნაირი სიძლიერის, რათა მოსახდენი სავარაუდოდ გამოხატოს. მოდალური ზმნა „will“ მეტი შესაძლებლობისაა. თუ ვიტყვით – “it will rain“, ეს უკვე ნიშნავს, რომ გაწვიმების შანსი ასი პროცენტია. მოდალური ზმნა “could” “კი მხოლოდ მცირე შესაძლებლობას გამოხატავს. “it could rain” ნიშნავს, რომ გაწვიმების ალბათობა მცირეა. შესაძლებლობების გამომხატველი მოდალური ზმნების სახეობები მოიცავს ყველაზე მეტიდან ყველაზე მცირემდე წარმოჩენის შესაძლებლობას, მათ შორისაა: will, must, might, may, can and could.

2. რჩევის გამომხატველი მოდალური ზმნები;

შესაძლებლობის გამომხატველი მოდალური ზმნების მსგავსად, ყველა ამ ტიპის მოდა-

ლურ ზმნასაც არ გააჩნია გამოსატყვის ერთნაირი სიძლიერე. მაგალითად, “must” არის მოდალური ზმნა, რომელიც გამოსატყვს ძლიერ რჩევას. თუ ამბობთ, “you must mail the letter today”, გულისხმობთ, რომ სიტუაცია ძალიან მნიშვნელოვანია დაწერილი სხვალ გაგზავნა არ იქნება კარგი. თუმცა, თუ რჩევის მისაცემად გამოიყენებთ მოდალურ ზმნას “could”, ამ წინადადების მსგავსად “you could mail the letter today”, კიდევ უფრო სერიოზულ რჩევას იძლევიტ. “could” რჩევას სიძლიერეს მატებს.

შესაძლებელია, იმავე წინადადებაში მოდალური ზმნის „must” გამოყენება, მაგ.: “you must mail the letter today”. ამ შემთხვევაში, მოდალური ზმნის დახმარებით ხდება მთავარი ზმნის გაძლიერება. წინადადების შინაარსი იცვლება და გამოიკვეთება, რომ სიტუაცია ძალიან მნიშვნელოვანია და ხვალ წერილის გაგზავნა კარგი არაა. თუმცა, თუ რჩევის მისაცემად გამოიყენებთ ზმნას “could” ისე, როგორც წინადადებაშია- “you could mail the letter today”, მაშინ რჩევის სიძლიერე იკლებს – წერილის გაგზავნა შესაძლებელია დღეს ან ხვალ.

რჩევის გამომხატაველი მოდალური ზმნების სახით, რომლებიც უძლიერესიდან უსუსტესამდე მნიშვნელობებს გამოსატყვენ, გვევლინება: must, had better, ought to, should and could. გასათვალისწინებელია, რომ შესაძლებლობის გამომხატველი მოდალური ზმნებია ასევე „must“ და „could”. ზოგიერთი მოდალური ზმნა განსხვავებულ მნიშვნელობას იძენს, რაც წინადადების დანარჩენ წევრებზეა დამოკიდებული. მაგალითად, როდესაც ვამბობთ: “it could rain”, “you could mail the letter today”, სიტყვას could განსხვავებული მნიშვნელობა ენიჭება.

ზემოთგანხილული შესაძლებლობისა და რჩევის აღმნიშვნელი მოდალური ზმნები, გამოსატყვის ხარისხის მიხედვით, განსხვავებული ამპლიტუდის შეიძლება იყოს. აქედან გამომდინარე, როდესაც მოდალურ ზმნებს

ვიყენებთ მოსაზრების გამოსახატავად, შესაძლებლობა გვეძლევა, ავირჩიოთ სიტყვა, რომელიც ზუსტად გადმოსცემს სასურველ მნიშვნელობას.

საყურადღებოა ასევე, მათი წინადადებაში გამოყენების გრამატიკული წესები. უნდა ითქვას, რომ მოდალური ზმნების გამოყენების გრამატიკული წესები საკმაოდ მარტივია. წინადადებაში შესაძლებელია მხოლოდ ერთი მოდალური ზმნის გამოყენება და ის ყოველთვის ზმნის წინ იკავებს ადგილს.

საილუსტრაციოდ მოვიტანოთ წინადადება: “Rosa runs 10 kilometers everyday“. ზმნის, runs-ის წინ ჩავსვათ ჩვენ მიერ განხილული რომელიმე მოდალური ზმნა, მაგ. შესაძლებლობის გამომხატველი ზმნა “might”. მივიღებთ ამგვარ ფორმას:

“Rosa might run 10 kilometers everyday.”

ამგვარად, სუსტი გამომხატველობის მოდალური ზმნის might-ის დახმარებით, წინადადებაში შეიძინა მკაფიოდ განსაზღვრული მნიშვნელობა. ჩვენ არ ვიცით, როზა რამდენ კილომეტრს დარბის, ან რა სიხშირით აკეთებს ამას. არსებობს მხოლოდ მცირე შესაძლებლობა იმისა, რომ ის ყოველდღე დარბის.

იგივე გავიმეოროთ რჩევის გამომხატველი მოდალური ზმნის შემთხვევაში:

“Rosa had better run 10 kilometers everyday.”

ძლიერი რჩევის გამომხატველი მოდალური ზმნის „had better“ წყალობით, წინადადებაში შეიძინა ახალი მნიშვნელობა. კერძოდ, გამოსატყვ რჩევა: ძალიან კარგი იქნებოდა როზასათვის, რომ ყოველდღე 10 კილომეტრი ერბინა. როგორც ვხედავთ, მოდალური ზმნის დამატებამ მნიშვნელოვნად შეცვალა მთავარი ზმნის მნიშვნელობა.

დასკვნა

სტატიაში წარმოჩენილია მედიაწიგნიერების მნიშვნელობა თანამედროვე საზოგადოებაში.

დოების ინფორმირებულობაში, რეალითა კრიტიკულ აღქმაში. განსაზღვრულია მისი განსაკუთრებული როლი მედიისა და მასობრივი საინფორმაციო კომუნიკაციების ეპოქაში. გაცხადებულია მედიაწიგნიერების მიზანი, რაც მომხმარებლის ცნობიერებაში მასსმედიაში გავრცელებული ინფორმაციის სწორი ინტერპრეტაციისა და ანალიზის უნარის განვითარებას გულისხმობს.

აღნიშნული პრობლემატიკა გაანალიზებულია ინგლისურ ენაში მოდალური ზმნების გამოყენების სპეციფიკაზე დაყრდნობით. ნაჩვენებია, რომ მათი დახმარებით შესაძლებელია აზრის ზუსტად გადმოცემა, რადგან მათი გამოხატვის ამპლიტუდა ამის შესაძლებლობას იძლევა. კონკრეტულ ნიმუშებზე დაყრდნობით, ნაშრომში განხილულია ორი ტიპის მოდალური ზმნა: შესაძლებლობისა და რჩევის გამომხატველი.

ნიმუშთა ანალიზით მკაფიოდაა ნაჩვენები, მოდალური ზმნების თვისებიდან გამომდინარე, მათი გამოყენება როგორ უცვლის წინადადებას შინაარსს. ამით მედიაწყაროებს კარგი შესაძლებლობა უჩნდებათ, საკუთარი ინტერპრეტაციით, განზრახ უცვალონ მნიშვნელობა ინფორმაციას, სხვა კონოტაცია შესძინონ სათქმელს და შეცდომაში შეიყვანონ აუდიტორია. გამოიყენონ ინგლისური ენის ის გრამატიკული თუ ლექსიკური თვისებები, სტილური თავისებურებები, რომლებიც აიძულებს აუდიტორიას, ინფორმაცია მათი შეხედულებების მიხედვით აღიქვან.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ჩვენი კვლევის აქტუალობა კიდევ უფრო იზრდება, რადგან ზუსტი და კომპეტენტური ინფორმაცია გვეხმარება სიტუაციის სწორად შეფასებასა და მედიამანიპულაციებისგან თავის დაღწევაში. ზოგადად, პუბლიკაციაში აქცენტირებული მოდალური ზმნების ერთეულები გვაძლევს მათი ვარიანტების მოძიებისა და გაანალიზების საშუალებას, რაც აგრეთვე გვეხმარება მედიაწიგნიერებისათვის საჭირო უნარების განვითარებაში.

1. <https://share.america.gov/can-you-separate-fact-from-fiction/>
2. <http://2.americanart.si.edu/exhibitions/online/cottingham/tour-noframe.html?/exhibitions/online/cottingham/more-intro.html>
3. <https://share.america.gov/elections-are-test-of-press-accountability/>

Considering the Peculiarities of Modal Verbs in English Language in the Context of Media Literacy

Domna Karanadze
University of Georgia
The Department of European Languages and Philology
77a Kostava st., 0175, Tbilisi, Georgia
Tel.: 577 958 613
E-mail: dodo.kara@yahoo.com

Abstract

Media means are able to inform the consumers according to their religion and political considerations, use the language style, which will encourage media audience to perceive the information according to their own preferences. The task of media literacy is to develop the above-mentioned ability, which will enable the recipient to perceive and analyze accurately the information spread by mass media. It assists to define the level of media bias or errors adequately and reveal the characteristics of this activity.

Keywords:

media literacy, modal verbs, mass media, recipient.

**Осмысление особенностей
модальных глаголов
английского языка
в контексте медиа грамотность**

*Каранадзе Домна Роландовна
Грузинский Университет
Департамент Европейских языков
Ул. Костава № 77а, 0175, Тбилиси, Грузия
Tel.: 577 958 613
E-mail: dodo.kara@yahoo.com*

Резюме

У средств массовой информации есть свойства передать информацию потребителю по его вероисповеданию и политическим взглядам. Массмедиа может использовать такой языковой стиль, который подведёт аудиторию к восприятию информации по личным предпочтениям.

Задача медиа грамотности служит для развития тех свойств, которые помогут правильно воспринять и проанализировать распространённую информацию в массмедиа. Это даёт возможность реципиенту адекватно оценить степень предвзятости неточности средств массовой информации и проявить характерные признаки этого действия.

Ключевые слова:

медиа грамотность, модальный глагол, массмедиа, реципиент.

გლობალიზაციის არსი და მისი გავლენა ენაზე

ენდი ხუციშვილი

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა
ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ო. ჭავჭავაძის გამზ. №53ა, 0162, თბილისი,
საქართველო

ტელ: 599 181 206

E-mail: andykhtsishvili@gmail.com

რეზიუმე

ცივილიზაციის განვითარების თვალსაზრისით გლობალიზაცია ჩვენი ქვეყნისთვის და ზოგადად მსოფლიოსთვის პროგრესული მოვლენაა, მაგრამ თუ მის პრიზმაში გატარებული უნიფიცირებული ცხოვრების წესის, საერთო ვალუტის, საერთო ენის დანერგვას გავყვებით, ამას, რასაკვირველია, არაერთგვაროვანი და უმრავლეს შემთხვევაში კრიტიკული შეფასებები მოყვება. ისეთი ტრადიციული ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, რომლის უნიკალურობაც მის მრავალფეროვნებაშია, ყოველივე ეს გამოიწვევს უარყოფით შედეგს, რადგან ისეთი კულტურულ – სულიერი ღირებულებები, როგორცაა რწმენა, რელიგია, ენა, ეროვნული ტრადიციები, ისტორიული ღირებულებები, უნიფიცირებით სუსტდება და ნელ-ნელა ქრება. ნამდვილად მივესალმებით დიდ ტექნიკურ მიღწევებს, რომლებიც არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მსოფლიოს ყველა ქვეყნის მოსახლეობისათვის კეთილდღეობის მომტანი იქნება, თუმცაღა მივიჩნევთ, რომ მშობლიური ენის დაბინძურების და ქვეყნის თვითმყოფადობის შერყევის ხარჯზე ეს არ უნდა მოხდეს. პირიქით, ჩვენ უნდა ვისარგებლოთ ამ პროცესის დადებითი მხარით, რომელიც საშუალებას გვაძლევს მსოფლიოს გავაცნოთ ჩვენი ქვეყანა და ენა.

საკვანძო სიტყვები:

გლობალიზაცია, ენა, გავლენა, ბარბარიზმი, ეროვნულობა, კულტურა, ქართული.

შესავალი

კაცობრიობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ძლევამოსილი პროცესი გლობალიზაციაა, რომლის სირთულეც მის კომპლექსურობასა და წინააღმდეგობაშია, რადგან ეკონომიკურ და პოლიტიკურ ასპექტებთან ერთად მოიცავს სოციალურ და კულტურულ ფაქტორებსაც, ანუ მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები ახდენენ გავლენას აბსოლუტურად ყველაფერზე, რაც ქვეყანაში და მის გარეთაა.

„Globe“ ინგლისური სიტყვაა და გლობუსს ნიშნავს, ხოლო „გლობალ“ – მსოფლიოს, გლობალურს. საზღვარმკვეთი კავშირების გააქტიურებით შექმნილმა რეალობამ წარმოშვა ახალი ტერმინი „საერთაშორისო“, რომელიც 1780-იან წლებში ფილოსოფოსმა ჯერემი ბენტჰემმა შემოიღო, ვინაიდან მანამდე ერები ეროვნულ საზოგადოებებად ორგანიზებულ სახელმწიფოებში მოიაზრებოდნენ.

ორი საუკუნის შემდეგ კი, დაახლოებით 80-იანი წლებიდან „საერთაშორისოს“ ენაცვლება „გლობალური“, ვინაიდან მკვლევართა დიდი ნაწილი მიიჩნევდა, რომ მსოფლიოს ქვეყნები საერთაშორისო ურთიერთობების მონაწილეებს აღარ წარმოადგენდნენ. ამერიკელმა მეცნიერმა ტ. ლევიტმა 1983 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში იხმარა პირველად ტერმინი „გლობალიზაცია“, რომელიც სწრაფად გავრცელდა. ინგლისურ ენაზე მოსაუბრეები ამ სიტყვის ზედსართავ სახელს „გლობალ“ უკვე არა მხოლოდ „სფერულის“ მნიშვნელობით ხმარობდნენ, არამედ იგი მთელი მსოფლიოს სინონიმად იქცა. თავდაპირველად ამ ტერმინს სხვადასხვა კონტექსტში იყენებდნენ და სოციალურ მეცნიერებაში რთული იყო ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობის განსაზღვრა. იგი გამოიყენებოდა როგორც წმინდა ეკონომიკური შინაარსის ტერმინი, მაგალითად,

მარტინ ელბროუმ გამოიყენა ცალკეული ბაზრების დაკავშირების, შერწყმის მნიშვნელობით. მსოფლიოს სწრაფი განვითარების ტემპის გამო მალე მან საზოგადოების თითქმის ყველა სფერო მოიცვა. ოქსფორდის სოციოლოგიური ლექსიკონის მიხედვით, რომელიც 1994 წელს გამოიცა, „გლობალიზაცია“ თეორიაა, რომლის მიზანსაც გლობალურ კულტურათა სისტემის ჩამოყალიბების შესწავლა წარმოადგენს. ეს ტერმინი ეკონომიკურ ჭრილში გლობალური ბაზრის წარმოქმნის სინონიმია, ისტორიულში გლობალური კაპიტალიზმის ხანა, სოციოლოგიურში სხვადასხვა ქვეყნების და სხვადასხვა კულტურებისთვის დამახასიათებელი განსხვავებული ღირებულებების სინთეზია, რომელიც ყველაზე მეტად ახდენს გავლენას ეროვნულ იდენტობაზე და ეროვნულ ენაზე. პოლიტოლოგიურში კი ინტერესის ობიექტივი მსოფლიოს სხვადასხვა რეალობაზეა ფოკუსირებული. აქედან გამომდინარე, ჩვენ მივიჩნევთ, რომ ძალზე ძნელია ერთი საერთო განმარტების მოძებნა, მაგრამ მიუხედავად ამ სირთულისა, მიგვაჩნია, რომ „გლობალიზაციის“ როგორც ფენომენზე, როგორც მსოფლიო ისტორიის ხარისხობრივად ახალ ეტაპზე საყოველთაო საუბარი მხოლოდ 90 -იანი წლებიდან დაიწყო და საზოგადოების განვითარება გლობალიზაციის ფონზე XX საუკუნის მეორე ნახევრიდან მიმდინარეობს. ცნობილი ლექსიკონის „Random House“ მიხედვით „გლობალიზაცია“ მსოფლიოს ყველა კუთხეში გავრცელებულს ნიშნავს, რის შედეგადაც მივიღეთ ზოგიერთი, ინდივიდუალური კულტურული იდენტობის დაკარგვა.“ [Random House Inc. 2013 <http://dictionary,-reference.com/browse/globalize>).

ძირითადი ნაწილი

გლობალიზაციის მრავალ ურთიერთსაწინააღმდეგო თუ მსგავს მოსაზრებებს შორის ჩვენთვის ფრიად საინტერესოა პროფესორ რ. გოგოხიას შეხედულება: „გლობალიზა-

ცია, როგორც კანონზომიერი პროცესი, არ უნდა აფუროთ მსოფლიო კოსმოპოლიტურ გლობალიზაციასთან, მსოფლიო კოსმოპოლიტური გლობალიზაციის თეორიის, როგორც დანაშაულებრივი უპერსპექტივობის მიზანია დენაციონალიზირებული საზოგადოების ჩამოყალიბება ყოველგვარი განსაზღვრული რელიგიურ-ზნობრივი ფასეულობებისა და კულტურულ-ისტორიული ორიენტაციის გარეშე. საქართველოს კანონზომიერი ჩართვა მაშინ იქნება გამართლებული და ეფექტიანი, თუ ქვეყანა მტკიცედ მოირგებს ეროვნულ – ეკონომიკურ სამოსელს. [რ. გოგოხია 2004: 36].

ამ მოსაზრებაზე დაყრდნობით ჩვენ მივიჩნევთ, რომ საქართველომ, რომელიც ჩართულია გლობალიზაციის გარდაუვალ პროცესში, რასაკვირველია, უნდა გაიზიაროს წლებისა და საუკუნეების ის დიდი გამოცდილება, რასაც დასავლეთის ცივილიზაცია ჰქვია, რომელსაც საბჭოურ პერიოდში ხელოვნურად მოგვწყვიტეს. ჩვენთვის კარგ მისაბამ მაგალითს ჩინეთი იძლევა, რომელმაც ეკონომიკურ აღმავლობას და სიძლიერეს მიაღწია საკუთარი ეროვნულობის შენარჩუნების ხარჯზე, ტრადიციებზე დაყრდნობით, რაც ენობრივ ფაქტორზეც დადებითად აისახა. მიუხედავად ნაკლოვანი მხარეებისა, ჩვენ მთლიანობაში გლობალიზაციის მიმართ, რასაკვირველია, დადებითი დამოკიდებულებით გამოვიჩნევით და თუ გავმიჯნავთ კულტურასა და ცივილიზაციას, ჩვენი გეზი დასავლური ცივილიზაციისკენაა მიმართული, ხოლო კულტურული, რომლის ფესვებიც აღმოსავლეთშია, რადიკალური ცვლილებების მომხრენი არ ვართ, რადგან ეს ეროვნული იდენტობის მოშლის და საკუთარი მეობის დაკარგვის საწინდარია.

მსოფლიოს ისტორიის მეხსიერებამ არაერთი მაგალითი შემოინახა, თუ როგორ შთანთქმე მცირე ერები და მათი კულტურები დიდმა ქვეყნებმა. საყურადღებოა კანადელი პროფესორის პიტერ იესის მოსაზრება, რო-

მელიც ენას აღმატებით ხარისხში მოიაზრებს. „ენა არის მნიშვნელოვანი ასპექტი, უმნიშვნელოც კი პოლიტიკური გამოხმაურებებისა და გლობალიზაციის პროცესების, განსაკუთრებით კი კოსმოპოლიტიზმის მიმართ“ [Ives 2010: 516].

მიისწრაფვის რა საზღვრების მოშლაზე და სამყაროს ნიველირებაზე, გლობალიზაცია საფრთხეს უქმნის ენებს. იუნესკოს ენათა ატლასის მონაცემების მიხედვით, გადაშენების პირას მყოფი ენების რიცხვი არნახულ ნიშნულს მიუახლოვდა და 2500-მდე მერყეობს. (<http://www.unesco.org/language-atlas>). ქართული ენა რომ ამ რისკის ქვეშ არ დადგეს, სწორედ ახლაა საჭირო დროულად ვიღონოთ რაიმე, რომ დავიცვათ იგი ინგლისურ ენასთან ჰიბრიდიზაციისგან, რაც მისი გადაშენების წინაპირობაა.

ისევე როგორც ნებისმიერ ისტორიულ მოვლენას, გლობალიზაციასაც, რასაკვირველია, გააჩნია დადებითი მხარეებიც. იგი ხელს უწყობს ქვეყნის ინტეგრაციას, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირების გაღრმავებას, რის მეშვეობითაც იქმნება თავისუფალი ბაზარი, რაც უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერისათვის. თუ ქართული ენა გადაურჩა გაინგლისურებას და ბარბარიზმებით დაბინძურებას, მაშინ ის შეძლებს ისარგებლოს ამ პროცესის დადებითი ასპექტებით და მსოფლიოს წინაშე წარსდეს თავისი უნიკალურობით.

გლობალიზაციაზე უამრავი და ერთმანეთისგან განსხვავებული მოსაზრებები არსებობს და ისინი იმდენადაა კონტრადიქციული დატვირთული, რომ ძალზე ძნელია ერთი საერთო წერტილის მოძებნა, თუმცა ერთ საერთო მახასიათებელზე ყველა ჯერდება, რომ გლობალიზაციის მთავარი არსი საზღვრების მოშლა და საერთო ღირებუბლებების ჩამოყალიბებაა. გლობალიზაციის ძალზედ საინტერესო ფორმულირებას ახდენს აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი: „გლობალიზაცია არის თანა-

მედროვე მსოფლიო წესრიგით გაპირობებული, მსხვილმასშტაბიან, სტრატეგიულ ღონისძიებათა ინტეგრირებული სისტემის ჩამოყალიბების, სრულყოფისა და მართვის დინამიური პროცესი, რომელსაც გააჩნია საერთაშორისო არეალი და სახელმწიფოთაშორისი, შიდასახელმწიფოებრივი, რეგიონული და დარგობრივი კავშირები, მოიცავს ადამიანთა საქმიანობისა და ურთიერთობის თითქმის ყველა სფეროს და მისი მიზანია პოლიტიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური უსაფრთხოების სტაბილიზაცია.“ [ქეშელაშვილი 2004: 5].

ქართულ ენას გლობალიზაცია უსაფრთხოების სტაბილიზაციის შერყევით, თავისი კულტურული იმპერიალიზმის მარწუხებით დღითიდღე ითრევს და ეს არა მხოლოდ სასაუბრო მეტყველებაში, არამედ ბევრ სხვა სოციალურ ფაქტორებშია გამოვლენილი. მაგალითად „მევის“ სანახავად წასული „თინეიჯერები“ აუცილებლად იყიდიან „პოპკორნს“, რათა ბოლომდე შეიქმნას ჰოლივუდური გარემო, თანხმობის ნიშნად ხშირად გვეტყვიან „OK“, „ბრეიქის“ დროს „ლანჩზე“ „მაკდონალდისკენ“ მიეშურებიან და „ბიგმაკს“ აგემოვნებენ. ეს ყველაფერი ცხოვრების ჩვეულ მომენტად იქცა. ადამიანი მსოფლიოს ნებისმიერ ადგილას იღებს მსგავს მომსახურებას, მსგავს პროდუქტს, მსგავს ხარისხს, მსგავს გარემოსა და დიზაინში, მსოფლიოს გაერთიანებებისკენ სწრაფვა გლობალიზაციისთვის დამახასიათებელი შტრიხია.

გლობალიზაციის ამბივალენტური ბუნებიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ ავირიდოთ მისი უარყოფითი მხარეები და მივიღოთ რაც შეიძლება მეტი დადებითი, საჭიროა ამ პროცესის გონივრული წარმართვა. ქვეყნის სოციალურ - პოლიტიკური ცვლილებებით გამოწვეული გარემო მნიშვნელოვან კვალს ტოვებს და ეს გარდატეხა ენობრივ გარემოზეც აისახება. ქართული ენა, რომელიც ჩვენი ქვეყნის თვითმყოფადობის ეროვნული მონაპოვარია, დაცული უნდა იქნეს, ეს კი

პირველ რიგში მის ლექსიკურ ფონდს ეხება.

მსოფლიო კულტურის ფესვები ევროპულ ტრადიციებშია. ახალ-ახალი ტერიტორიების აღმოსაჩენად ევროპელი მისიონერები დოვლათის მოსაპოვებლად და დასამორჩილებლად მრავალი წლის განმავლობაში მოგზაურობდნენ სხვადასხვა ადგილას. სწორედ ეს პროცესი გახდა საწინდარი ევროპული ცხოვრების წესის მოდელად ქცევისა. ამ ზეწოლის შედეგად კულტურული ჰომოგენიზაცია მოხდა, რასაც შემდგომ გლობალიზაცია მოჰყვა. ეს ტერმინი გლობალიზაციასთან მჭიდრო კავშირშია და განსაკუთრებული მნიშვნელობა ბოლო ათწლეულის განმავლობაში შეიძინა. მისი არსი გლობალურისა და ლოკალურის (ადგილობრივის) კომბინაციაშია, რომლის გლობალური ტენდენციებიც ლოკალური პრინციპების გათვალისწინებით მკვიდრდება, ანუ იგი გლობალიზაციის ერთგვარი ფორმაა, რომელსაც გლობალიზაციისგან განსხვავებით საზღვრები გააჩნია, ადაპტირდება ლოკალურ რეალობაში და არავითარ შემთხვევაში არ ახდენს ადგილობრივის განადგურებას. გლობალიზაციის მოდელი აბსოლუტურად მისაღებია ქართული ენისთვის. რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, ჩვენ მივიჩნევთ, რომ ასეთ შემთხვევაში გლობალიზაციის წყალობით აქცენტი კეთდება ლოკალურ და აქტუალურ პრობლემებზე და საერთოდ არ იქმნება იმის საჭიროება, რომ ჩვენი მშობლიური ენის ჰიბრიდიზაცია, ინგლისური ენის თარგზე გამოჭრით მოვახდინოთ.

გლობალიზაცია, როგორი ძლიერი ფენომენიც არ უნდა იყოს, განიცდის დამხვედრი ქვეყნის გავლენას და წინააღმდეგობრივი ველი იქმნება, რამეთუ უხდება დამხვედრ კულტურასთან ადაპტირება და მის წესებთან და ადათებთან კომპრომისი, ამიტომ ნაწილობრივ ხდება მისი ტრანზფორმაცია. გლობალიზაციისთვის ნიშანდობლივი მსოფლიოში საერთაშორისო ინგლისური ენის არსებობამ, ხელი არ უნდა

შეუშალოს ქართული ენის სიწმინდის შენარჩუნებას. თითოეულმა ქართულად მოსაუბრე საქართველოს მოქალაქემ კარგად უნდა გაიაზროს თანამედრვეობის აქტუალური ფრაზა „იფიქრე გლოკალურად, იმოქმედე გლობალურად“. თუკი ეკონომიკურმა სექტორმა, ბევრმა ცნობილმა კომპანიებმა მიაგნეს წარმატების საიდუმლოს და ლოკალური ბაზრის შესწავლით ითვალისწინებენ ადგილობრივ მოთხოვნებს, ანუ გლობალურ ბაზარზე გავლით ერგებიან ლოკალურ სისტემას, მაშინ ეს გამოცდილება რატომ არ უნდა იქნეს გათვალისწინებული სოციალურ ასპექტშიც, სადაც ენა უპირატესობაზე დამყარებულ ურთიერთობაში შექმნის კულტურულ თვითგააზრებას, რათა ცივილიზაციათა შეჯახებისას არ მოხდეს მისი გაინგლისურება. მაგალითად, ორი ისეთი ფართოდ გავრცელებული, გლობალური პროდუქტი, როგორცაა კოკა-კოლა და მაკდონალდსი, რომელთა გემო ერთნაირია ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაწყებული ნებისმიერი ქვეყნით დამთავრებული, მაინც უხდებათ გლობალიზაციის მოდელზე მორგება, რაც ძალზე მომგებიანი და ეფექტური მარკეტინგული სვლაა. საქართველოში, სადაც მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი რელიგიით ქრისტიანია, შემოიტანეს ევრეთწოდებული ვეჯიბურგერი ანუ სამარხო მენიუ, მაშინ როდესაც იაპონურ ბაზარზე გაჩნდა სუშის მაგვარი პროდუქცია. ამ ყველაფერმა ადგილობრივი მოსახლეობის დიდი კმაყოფილება გამოიწვია. კოკა-კოლა კი, სამიზნე ჯგუფის გათვალისწინებით, სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ტიპის რეკლამების წარმოებით, რომლებიც იმ ქვეყნის მოსახლეობის ინტერესებზეა აგებული, ადგილობრივი მოსახლეობის კეთილგანწყობასა და სანდობას იმსახურებს. ეს მაგალითები ნათელი დასტურია იმისა, რომ არ არსებობს გლობალიზაციის უნივერსალური კანონები, ის ისეთივე ტრანსფორმირებადია რადაც კონტექსტში, როგორც ნებისმიერი სხვა

კულტურა. იმისათვის, რომ წარმატებას მი-
აღწიოს, ხანდახან იძულებულია მოერგოს
და გაითვალისწინოს დამხვედრი ქვეყნის
ინტერესები და გაიზიაროს მათი ეროვნული
ღირებულებები. ცივილიზაციათა დიალოგში
შესულ ჩვენს ქვეყანას უხდება ცხოვრების
სხვა წესთან შეხვედრა, სადაც უნდა მოა-
ხერხოს მოძებნოს კულტურულ-ენობრივი
თვითგამოხატვის ისეთი ფორმა, რომელიც
ეროვნული იდენტობის შენარჩუნებაზე, ენის
სიწმინდის დაცვაზე იქნება დაფუძნებული.
ქართული ენა, ისევე როგორც სხვა არსე-
ბული ენა, დამოუკიდებლად, სხვა ენებთან
კავშირის და გარკვეული გავლენის გარეშე
ვერ იარსებებს, მაგრამ უნდა მოვახერხოთ
კულტურულ-სოციალური გამოცდილებით
თვითიდენტიფიკაცია, რათა მოხდეს ცივი-
ლიზაციათა შეჯახების კონფორტაციული
პარადიგმის ჩანაცვლება კულტურათა და
ენათა ურთიერთმიმართების კონცეფციით.
სწორედ ამიტომაც საჭირო ბარბარიზმებს
გამოვუცხადოთ მკაცრი ბრძოლა და შეურ-
ყვნელად შევინარჩუნოთ მშობლიური ენის
კულტურა.

„თუ გამოვიყენებთ ანალოგიის ლოგი-
კას და კონკრეტული ადამიანის რეალური
ცხოვრებისათვის მესხიერების როლსა და
მნიშვნელობას გავაცნობიერებთ, მაშინ
კიდევ უფრო ცხადი გახდება კულტურის
როლის მნიშვნელობა ერის ცხოვრებაში.
ადამიანი როცა კარგავს მესხიერებას, კარ-
გავს საკუთარ ბიოგრაფიას, საკუთარ მეო-
ბასა და ინდივიდუალურ მთლიანობას, ის
ფიზიკურად კი არსებობს, მაგრამ არ აქვს
წარსული, აწმყო და მომავალი, მან აღარ
იცის ვინ არის, რისთვის არსებობს, რა სურს
და ასე შემდეგ. იმ ფუნქციას, რაც მესხი-
ერებას აკისრია კონკრეტული ინდივიდის
ცხოვრებაში, იგივე როლი აქვს, რაც კულ-
ტურას ერის ისტორიულ ყოფიერებაში.“
[ყულიჯანიშვილი 2002: 7].

გლობალიზაციის პროცესში ჩართულ
მოქალაქეებს გვიხდება ყოველდღიურად
გეზიაროთ ისეთ სოციალურ გარემოს, რო-

მელიც სხვადასხვა კულტურების სინთეზია
და რომელიც, ხშირ შემთხვევაში, რადიკა-
ლურად განსხვავებულია მშობლიურისგან.
ეს ცვლილებები, რასაკვირველია, პირველ
რიგში ენაში აისახება და ვაწყდებით ბარ-
ბარიზმების ხმარების არნახულ სურათს.
თუ კარგად გავაცნობიერებთ ჩვენი ენის
მნიშვნელობას ისტორიული წარსულის მეხ-
სიერების გათვალისწინებით და გადავარ-
ჩენთ მას, ეს იქნება ერთგვარი ემპირიული
სასრულობის გადალახვა მშობლიური ენის
უკვდავებაში და მომავალ თაობას მივცემთ
მაგალითს, თუ როგორ აირიდოს გლობა-
ლიზაციის უარყოფითი გავლენა, არ დაკარ-
გონ ისტორიული მემკვიდრეობა, რაც ენის
სახით დღემდეა შენარჩუნებული.

ჩვენი ქვეყანა, რომელიც ევროპისა და
აზიის გასაყარზე მდებარეობს, ხელსაყრე-
ლი ტერიტორიის გამო არაერთ ბრძოლაში
ჩაბმულა. დღეს, დემოკრატიული ქვეყნის
სტატუსით, ტერიტორიული მთლიანობის აღ-
დგენისა და ეკონომიკური სიძლიერისკენ
ისწრაფვის, რისთვისაც აუცილებელია ევ-
როკავშირში ინტეგრაცია, რასაც საფუძე-
ლად დიდი წინდახედულება და ერის ერ-
თიანობის განცდა უნდა ედოს საფუძვლად,
რადგან, როგორც აღვნიშნეთ, გლობალიზა-
ციის ტრანსფორმირებადი ბუნებიდან გამომ-
დინარე, ძალზე მნიშვნელოვანია დამხვედრი
ენის, კულტურის, ერის სიმტკიცე, სიძლიერე
და ეროვნული ღირებულებები.

გლობალიზაციის წყალობით ნებისმიერი
ტექნიკური მიღწევა სწრაფად შემოდის და
ინერგება. ერთიანი კანონების საფუძველ-
ზე, დიდი ერების გავლენა პატარა ერების
დაჩაგვრაზე სუსტდება და ჩვენს ქვეყა-
ნას მეტი უსაფრთხოების განცდა ეუფლე-
ბა. თუ ეროვნულ ენას და ეროვნულ
თვითმყოფადობას შევინარჩუნებთ, ეს პრო-
ცესი დიდი სიკეთის მომცემი იქნება ქვე-
ყნისთვის. ის საქართველოს საშუალე-
ბას მისცემს მსოფლიო თანამეგობრობაში
ღირსეული ადგილი დაიკავოს თავისი უნი-
კალური ენით, ფოლკლორით და სხვა მრავ-

ვალი ღირსებით, რომელიც ასე ადაფრთოვანებს მსოფლიოს.

გლობალიზაციის დადებით-უარყოფით მხარეებზე საუბრისას ჩვენთვის ფრიად საინტერესოა მ. კილანაგას მოსაზრება. „სხვადასხვა ტიპის საზღვართა (გეო-გრაფიული, სოციალური, მედია და ა. შ.) მოშლის მთავარ პოზიტიურ ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ამ დროს უფრო ადვილი ხდება ერთა შორის კულტურის, ტრადიციებისა და ღირებულებების გაცვლა-გაცნობა; ამ ფონზე კი ნეგატიურ ნიშნად შეიძლება მიჩნეული იქნეს ის, რომ ხდება სწორედ ამ კულტურათა, ტრადიციათა და ღირებულებათა ერთმანეთში აღრევა და აქედან გამომდინარე, რეალურად დგება საკუთარი, სპეციფიკური, ინდივიდუალური სახის, სხვაგვარად ავთენტური ავტოპორტრეტის დაკარგვის საშიშროება. ყოველი ერის კულტურა გამორჩეული და თვითმყოფადია. თითოეულ მათგანს განსხვავებული ნიშანი აქვს: იქნება ეს ისტორია, ეროვნული ხასიათი, სოციალური ჯგუფები (გაერთიანებები), ღირებულებები, ქცევა (ნორმა, წესები, ტრადიციები, ჩვეულებები) და რაც მთავარია, – ენა.“ [კილანაგა 2014: 36].

ჰოლანდიელი მეცნიერის ნედერვენ პიტერსის მიხედვით, სოციალურ-კულტურული გლობალიზაციის მიმართ სამი შეხედულება არსებობს. პირველი სხვადასხვა კულტურათა შეჯახების შედეგად წარმოშობილ გაუგებრობასა და შეუთავსებლობას გულისხმობს, მეორე პროცესი ეგრეთწოდებული „მაკდონალდიზაციაა“, რომელიც კულტურათა ჰომოგენიზაციით სამყაროს ნიველირებას ცდილობს, ხოლო მესამე გლოკალიზაციის მოდელზე დაყრდნობით ახდენს კულტურათა სინთეზს. როგორც გამოიკვეთა, გლობალიზაცია ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას, რაც ძლიერი ქვეყნის საწინდარია და იგი აგრეთვე იძლევა საშუალებას, რომ ჩვენნაირმა ერმა, თუკი თავად მოინდომებს, შეძლოს შეინარჩუნოს თვითმყოფადობა და ენა.

გლობალიზაციამ გამოიწვია სამეცნიერ-

რო-ტექნიკური გადატრიალება, რომლის პარალელურად ლინგვისტური რევოლუცია მიმდინარეობს. სწორედ ამ პროცესს მიუძღვის ლომის წვლილი ქართულ ენაში ამდენი საჭიროების გარეშე შემოსული სიტყვებისა. ენა, რომელიც ადამიანის თვითგამოხატვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა, სხვადასხვა ელემენტებისა და წესებისგან შემდგარი ნიშანთა სისტემაა, რომლის სტრუქტურული და ლექსიკური განვითარება დოკუმენტირებულ რესურსს წარმოადგენს, გამოკვეთოთ ამ ენაზე მოსაუბრე ხალხის კულტურული ევოლუცია. ეს ენობრივ-კულტურული დოკუმენტირება ძალზე მნიშვნელოვანია ენის როგორც სინქრონული, ასევე დიაქრონული თვალსაზრისითაც.

დასკვნა

თუ ჩვენი ენის დღევანდელ ენობრივ სურათს დავაკვირდებით, გლობალიზაციის პროცესი ნამდვილადაა მასში დოკუმენტირებული. ანგლიციზმების ასეთი რაოდენობის შემოჭრას ენაში სხვადასხვა მიზეზები აქვს. წინა საუკუნეში დომინანტი ენა რუსული იყო, ახლა ინგლისურია და ეს ფაქტი ენაშიც აისახა. რუსიციზმების ანგლიციზმებზე გადასვლის პროცესი დღესაც მიმდინარეობს. ქართული ენა, რომელიც ჩვენი ქვეყნის ქართულ ენაზე მოსაუბრე სოციუმის მაფორმირებელი ენაა, ტრანსფორმაციას განიცდის. მასში არეკლილია და ნათლად ჩანს მსოფლიო პროგრესის, ცივილიზაციის, კომპიუტერის და მისი ტექნიკური ენის გავლენა, საერთაშორისო ენის ლექსიკის და ტერმინების უხვი რაოდენობა, რომელთა გამოყენებაც „სნობი“ საზოგადოებისათვის მაღალფარდოვნების სინონიმად იქცა. ამ კოსმოპოლიტურმა ტალღამ რომ არ წაღუქოს ქართული ენა, ამისთვის თავდაცვის მექანიზმია საჭირო. ენობრივი დეზორიენტაციის თავიდან აცილების მიზნით, ქვეყნის

ნებისმიერი პროფესიის მოქალაქემ უნდა ისაუბროს ბარბარიზმების გარეშე. ენა, როგორც კულტურის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, ასაზრდოებს ერს მაღალი, პატრიოტული სულისკვეთებით, რომელიც ფასდაუდებელია ქვეყნის განვითარებისთვის.

ლიტერატურა

1. გოგოხია რ. (2004): შერეული ეკონომიკური სისტემა, არსი, მოდელები, განვითარების ტენდენციები. თბ.
2. Ives P. (2010): Cosmopolitanism and Global English, Language Politics in Globalization Debates , Political Studies, vol 58.
3. ქეშელაშვილი ო. (2004): საქართველო მსოფლიო გლობალიზაციის წიაღში. თბილისი. არეალი
4. ყულიჯანიშვილი ა. (2002): გლობალიზაცია და ნაციონალური კულტურები. ურუნალი „ეპოქა“ 2, „პოლიტიკური მეცნიერება“, თბილისი
5. კილანავა მ. „უახლესი პერიოდის ქართული მასმედიის ენობრივი სურათი და მასთან დაკავშირებული თარგმანის პრობლემები“. დისერტაცია
6. Ransom House Inc. 2013 <http://dictionary.reference.com/house/globalize>
7. <http://www.unesco.org/language atlas>

The Feature of Globalization and Its Impact on the Language

Andy Khutsishvili
St. Andrew The first called Georgian University
of the Patriarchate of Georgia
Humanitarian Science Faculty
53a, Ilia Chavchavadze Ave. 0162 , Tbilisi,
Georgia
Tel: 599 181 206
E-mail: andykhutsishvili@gmail.com

Abstract

Globalization, according to the development of civilization, is the progressive phenomenon for our country and the whole world too, but if we focus on its unification to have the similar lifestyle, the same language to all countries certainly we will get the diverse range of feedback and some of them will be too critical, because it triggers lots of negative results for the country like Georgia, as the process will not reflect positively on religion, national identity and culture, historical traditions, belief. They will become weaker and later die out if are influenced by unification.

We like and prove the great technical achievements which are helpful not only for Georgia , but for the whole world too, but we perceive that it should not be done at the expense of hybridization of the national language and identity. We should be involved in the positive aspects of globalization what will promote us to share and show our national language and culture to the world.

Keywords:

Globalization, language influence, barbarism, nationality, culture, Georgian.

Суть глобализации и ее влияние на язык

Хуцшвили Энди Имедовна
Грузинский университет им. Андрея
Первозванного Патриаршества Грузии
факультет гуманитарных наук
Пр. И. Чавчавадзе №53а, 0162, Тбилиси, Грузия
Тел.: 599 181 206
E-mail: andykhutsishvili@gmail.com

Резюме

С точки зрения цивилизации, глобализация для нашей страны и в целом, для мира является

прогрессивным явлением, но если проследим через ее призму проведенные правила - унифицированные жизненные законы, единая валюта, единый язык, конечно-же, прозвучат неоднородные и, в большинстве случаев, критические оценки. Для такой традиционной страны, как Грузия, уникальность которой в ее многогранности, все это неприемлемо, так как ее культурно-душевные ценности – вера, религия, язык, национальные традиции, при унифицировании ослабнут и могут исчезнуть.

Мы приветствуем все те технические достижения, которые принесут большую пользу не только Грузии, но и всем народам мира, однако думаем, что все это не должно происходить за счет загрязнения родного языка и рушения своеобразия страны. Наоборот, мы должны использовать положительную сторону этого процесса, который дает возможность , ознакомить мир с нашей страной и с нашим языком.

Ключевые слова:

язык, влияние, барбаризмы, национальность, культура, грузинский.

„ვეფხისტყაოსანი“ და ქართული ტრადიციები

მაია კიკვაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი

ნინოშვილის ქ. №35, 6010, ბათუმი,

საქართველო

ტელ. 577 728 248

E-mail: maiakikvadze1@rambler.ru

რეზიუმე

შოთა რუსთაველის პოემაში ჩანს უძველესი ქართული ტრადიციები: სამეფო კარის ცხოვრების წესები და რიტუალები, უფროსისადმი რიდი და მოკრძალება, ქორწილი თუ გლოვა, ნადირობა, სუფრის გაშლა და სტუმრის მიღება-გამასპინძლება, შელოცვები, ვაჭრობასთან დაკავშირებული წესჩვეულებანი და სხვა.

ქართული ტრადიციების პარალელურად პოემაში ვეცნობით მუსულმანთა ცხოვრების წესებსაც. „ვეფხისტყაოსანი“ გვასწავლის სხვათა კულტურისადმი, ტრადიციებისადმი პატივისცემას. ამიტომაც იქცა რუსთაველი მსოფლიო პოეტად. მის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, ბევრი ძველი ტრადიცია დაიწვევას მიეცა, ბევრმაც ფორმა შეიცვალა.

„ვეფხისტყაოსანი“ ხალხთა შორის გადებული მეგობრობის ხილია, რომელმაც საუკუნეებს გაუძლო და დღეს კიდევ უფრო დიდია მისი მნიშვნელობა.

საკვანძო სიტყვები:

კულტურა, ტრადიცია, ხალხი, აფორიზმი.

შესავალი

შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა ქართველთა სულიერი საგანძურია. იგი იდეალური ნიმუშია იმისა, თუ როგორ უნდა უყვარდეთ ადამიანებს თავიანთი ქვეყანა, როგორ უნდა უყვარდეთ ერთმანეთი, განურჩევლად ეროვნებისა, თუ რა შეუძლია

მეგობრობას ხალხთაშორის. თითქმის ყველა ენაზე თარგმნილი „ვეფხისტყაოსნით“ გაიცნო მსოფლიომ საქართველო და ქართველი ხალხი, ქართული კულტურა. საგულისხმოა ისიც, რომ ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დაწვებულა პოემის თარგმნა თურქულ ენაზე.

საქართველო უძველესი კულტურის ქვეყანაა. საქართველოს კუთხეები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ადათ-წესებით, ტრადიციებით, რომელთაგან ზოგი ძალიან ძველია, ზოგიც შედარებით ახალი, ზოგი კი – სახეშეცვლილი და მოდიფიცირებულია. ტრადიციები ალამაზებს ადამიანის ცხოვრებას, წარმოაჩენს მის ზნე-ჩვეულებებს, შინაგან სამყაროს. ტრადიცია არის ის, რაც შეუქმნიათ ჩვენს წინაპრებს და დროის მიხედვით თაობიდან თაობას გადაეცემოდა. იგი გვასწავლის, როგორ უნდა მოვიქცეთ; როგორ უნდა მივიღოთ ძველი და ახალი; ქართული ტრადიციები ქართველთა კულტურული მემკვიდრეობაა. ისინი ქმნიან საზოგადოებისა და სოციალური ჯგუფების „კოლექტიურ მეხსიერებას“. „ვეფხისტყაოსანმა“ ყველაზე დიდი ზეგავლენა იქონია ქართულ კულტურასა და აზროვნებაზე.

„ტრადიცია, ერთი შეხედვით, ეკუთვნის წარსულს, მაგრამ არამც თუ უნდა წარსულად იქცეს, არამედ გარკვეული პრეტენზიაც კი აქვს აწმყოზე“ (<http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library>).

ძირითადი ნაწილი

რუსთაველის პოემაში მრავალი საინტერესო ტრადიციის გამომხატველი აფორიზმი, ენობრივი ფორმა და განსაკუთრებით კი - ზმნებია. რუსთაველი, როგორც სიტყვის ჯადოქარი, ამ მხრივ უნაკლო და შეუდარებელია. პოეტის სიბრძნე, აფორიზმებად აკინძული, ტრადიციულად გადაეცემოდა თაობიდან თაობებს. „ვეფხისტყაოსნიდან“ მოყოლებული დღემდე იცის ქართველმა, რომ ადამიანმა სახელიანი სი-

ცოცხლით უნდა იცხოვროს, გაჭირვებას უნდა გაუმაგრდეს, იცის, რომ ბოროტება უდიდესი ცოდვაა, რომ ბედნიერების მოპოვება ადვილი არ არის, რომ სიყვარული და მეგობრობა შეუძლებელს შესაძლებლად ხდის. ამის დასტურია პოემის აფორიზმები: „სჯობს სიცოცხლეს ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“, „ჭირსა შიგან გამაგრება, ასრე უნდა ვით ქვითკირსა“, „არ იცი, ვარდი უეკლოდ არავის მოუკრებიან!“, „ოღეს კაცსა დაეჭირვოს, მაშინ უნდა ძმა და თვისი“, „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“, „გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“ და სხვა.

განვიხილავთ რამდენიმე ტრადიციას.

სამეფო კარის ცხოვრების წესები და რიტუალები:

